ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის-მოიპოვებს თავისუფლებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლება

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (დემოკრატებისა) არაპერიოდული გაზეთი №-13 1989 წლის 16 აგვისტო

გაზეთი გამოდის 1988 წლის 10 დეკემბრიდან.

საქართველოს ოკუპაციის 69-ე წელი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით ჯაჭვური შიმშილობის 64-ე დღე

## გზა თავისუფლებისაკენ სოციალისტური პლურალიზმი სიყალბეა!

მოგეხსენებათ საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ ორგანიზაციებს აშკარად უარყოფითი პოზიცია უკავიათ საბჭოთა არჩევნების მიმართ ჩვენც, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას/დემოკრატებისა/, ეს საკითხი მეტად გვაღელვებს და გადაწყვეტილი გვაქვს აქტიური ბოიკოტი გაუწიოთ ასეთ არჩევნებს.

ჩვენ, ერისა და ადამიანის სისხლხორცი უფლებებიდან გამომდინარე, მოვითხოვთ დემოკრატიულ პლურალიზმს, მაგრამ კატეგორიულად უარვყოფთ სოციალისტურ პლურალიზმს, რასაც ამ შემთხვევაში ეფუძნება საბჭოთა არჩევნები.

საქართველო დაიპყრო რა რუსეთმა, თავს მოგვახვია მარიონეტული მთავრობა და სოციალისტური საბჭოთა წეს-წყობილება, რომ ლის სტრუქტურაშიც დღემდე აბსოლიტურად იგნორირებულია ადამიანის პირიადი უფლებები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე გავრცობილია იმ სახელმწიფოს მონოპოლია, რომლის ჯარისკაცებმაც სასანგრე ნიჩბებით აჩეხეს და "სიესით" მოწამლეს 9 აპრილს ჩვენი დედები და დები. საქართველოში ჯერ კიდევ ლაღად მუშაობს ჩვენი დამპყრობელი ქვეყნის, სსრ კავშირის, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. ასეთ პირობებში შეუძლებელია რამდენადმე დემოკრატიული და ერის ნების გამომხატველი არჩევნების ჩატარება. სახელმწიფოს თავისუფლად შეუძლია რეკლამა გაუკეთოს ერისთვის არასასურველ დეპუტატებს და ამავე დროს კაბალურ პირობებში ჩააყენოს შედარებით უფრო ეროვნულ პოზიციებზე მდგარი დეპუტატები. ტოტალიტარული რეჟიმი კვლავ დაიქვემდებარებს ვითომდა დემოკრატიული გზით არჩეულ ადგილობრივ მთავრობას, რითაც საქართველოში იურიდიულად დააკანონებს კრემლის ბატონობას, რაც მეტად გაართულებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. თუ ქართველი ერი აირჩევს რაიმე მთავრობას, ამ მთავრობის უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირება, მაგრამ საბჭოთა არჩევნებით არჩეული ნებისმიერი მთავრობა იძულებული იქნება ერის ნების საწინააღმდეგოდ დიდხანს ითანამშრომლოს დამპყრობელთან. გარდა კაბალური მდგომარეობისა, საქართველოს ახლად არჩეული საბჭოთა მთავრობა ვერ შეასრულებს ქართველი ხალხის ნებას, აღმოჩნდება პრინციპულ წინააღმდეგობაში ერთან და ერის დამორჩილების აუცილებლობიდან გამომდინარე, თავისი ძალაუფლების გატარებისთვის, იძულებული გახდება ისევ კრემლს მიმართოს დახმარებისათვის. რა თქმა უნდა, ამის სანაცვლოდ კრემლი ასეთი მთავრობის საშუალებით განახორციელებს ყოველივე იმას, რაც მას დასჭირდება ქართველ ერზე ბატონობის შენარჩუნებისათვის. ნებისმიერ დემოკრატიულ არჩევნებს წინ უნდა უსწრებდეს საბჭოთა ხელისუფლების უარყოფა და ალტერნატიული არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩვენივე ნებით, ერის უფლებებს გადავცემთ პიროვნებების ჯგუფს, რომელიც საერთაშორისო სამართლისათვის გახდება საქართველოს წარმომადგენელი იურიდიული პირი, მაგრამ ეს იურიდიული პირი დაიცავს დამპყრობლის ინტერესებს.

სოციალისტური სისტემა და მისგან გამომდინარე კოლაბორაციონისტული ეროვნული მთავრობები კრემლს საშუალებას აძლევს მორჩილებაში იყოლიოს ისეთი დიდი ერები, როგორიც გერმანელები, ჩეხები და სხვანი არიან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბოროტი სიხარულით შეხვდა, როგორც სისხლიან 9 აპრილს, ასევე ჩინელი სტუდენტების დახვრეტას. ჩვენ ვერ ვუშვებთ როსტოკში თბილისს-ამბობენ ისინი. გდრ-ის სახელმწიფო უშიშროება ჩინელებივით არ იცდის სანამ ქუჩებში გამოვა ასი ათასობით მანიფესტანტი, ისინი მაშინვე აკავებენ პირველსავე ასეულს.

7 მაისს გდრ-ის მოქალაქეებმა აღმოაჩინეს, რომ მუნიციპალიტეტის არჩევნების ოფიციალური მონაცემები მკვეთრად განსხვავდებოდა მეთვალყურეთა მონაცემებისაგან და დაიწყო არჩევნების აქტიური ბოიკოტი.

22 ივნისს ჩინეთის სტუდენტების მხარდაჭერისათვის მოეწყო მსვლელობა ჩინეთის საელჩოსაკენ, მაგრამ გდრ-ს უშიშროებამ დარბია დემონსტრაცია და ერთი დღით დააპატიმრა 50 კაცი, რომლებიც მაშინვე იქნენ გაძევებული ფედერაციულ რესპუბლიკაში, თან ეს გამოყენებული იქნა, როგორც ემიგრაციის თავისუფლების დემონსტრირება. ვერ ვიტყვით, რომ უკეთესი მდგომარეობაა ჩეხოსლოვაკიაში.

ჩვენ ხშირად გვითითებენ_აი ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ამას და ამას მიაღწიესო. ბალტიისპირეთის ქვეყნების "მიღწევებს", სამწუხაროდ, ხშირად ოპტიმიზმით უყურებს დასავლეთიც, თუმცა რეალურად ბალტიისპირეთის ქვეყნების მიღწევები ფრიად საეჭვო ხდება თვით ბალტიისპირელებისთვისაც. ამის მაგალითია თუნდაც საიუდისის საბჭოს წევრის და სახალხო დეპუტატის, პროფესორ ეკონომისტის, კაზიმირას ანტანავიჩუსის განცხადება.

ეგრეთწოდებული ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროექტით გულგატეხილმა პროფესორმა აღნიშნა, რომ კანონპროექტი ჯერ არ არის მიღებული და აქ მოცემული ზომები ეკონომიური კრიზისიდან ვერ გამოიყვანს ლიტვას. სიტყვებით ნათქვამია, რომ საწარმოები მიიღებენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მაგრამ კანონით ისინი ვერავითარ დამოუკიდებლობას ვერ ეღირსებიან. საკავშირო მნიშვნელობის საწარმოების ხელმძღვანელობა რჩება საკავშირო სამინისტროების ხელში და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოების ნორმატივებსაც ცენტრალური უწყებები განსაზღვრავენ. ამავე დროს უმაღლესი საბჭოს მიერ არაფერი არ არის გათვალისწინებული ლიტვის ფინანსური გამოჯანსაღებისათვის.

მას შემდეგ, რაც საქართველო მიისწრაფის ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ, ჩვენთვის მიუღებელია არა მარტო ბალტიისპირეთის კომპრომისული ვარიანტები, არამედ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების სტატუსიც. ყოველივე ეს მართლა თავისთავად რომ მოდიოდეს ცენტრიდან, შეიძლება ეს ერთგვარ შვებად მიგვეღო, მაგრამ როცა ჩვენ საერთაშორისო სამართლის წინაშე კრემლს კედელთან ვაყენებთ როგორც აგრესორს, თავისუფლების და დემოკრატიის ალტერნატივად ვერ დავისახავთ ვერავითარ კომპრომისულ და კაბალურ სოციალისტურ ვარიანტს. ჩვენ მივისწრაფით სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ, აქტიური ბოიკოტი უნდა გამოუცხადოთ საბჭოთა არჩევნებს და უნდა მივმართოთ სამოქალაქო და ეროვნულ იურიდიულ დაუმორჩილებლობას. დამპყრობელს უნდა მოვუსპოთ ყოველგვარი სამართლებრივი დასაყრდენი ქართულ მიწაზე.

## აქტიური ბოიკოტი საბჭოთა არჩევნებს!

მოსკოვის რადიოს მსოფლიო სამსახურმა სლოვაკურ ენაზე გადასცა სსრ კავშირის სუკ-ის შეფის, კრუჩკოვის განცხადება. მან თქვა, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში გაუქმდა იდეოლოგიური დანაშაულების განყოფილება და მის ნაცვლად შექმნილია კონსტიტუციური უფლებების დაცვის განყოფილება.

ადრე, განაცხადა კრუჩკოვმა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს არ ჰქონდა ზუსტად განსაზღვრული საზღვრები ანტისაბჭოთა აგიტაციასთან და პროპაგანდასთან საბრძოლველად. ახლა მდგომარეობა შეიცვალა და კანონი აღარ ითვალისწინებს სასჯელს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოთქმებისათვის, რაოდენ ნეგატიურიც არ უნდა იყვნენ ისინი.

მსგავსი განცხადებები ქმნის ილუზიას, თითქოს სსრ კავშირში რეალურად ტარდება ადამიანის უფლებების დასაცავი ღონისძიებები. ამ მხრივ, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მართლაც აქვს ადგილი ერთგვარ პროგრესს, მაგრამ მთლიანობაში საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური ტოტალიტარული მანქანა უმოწყალოდ თელავს ფეხქვეშ ადამიანის და ერის უფლებებს. მნიშვნელოვნად არის ბლოკირებული ყველა ჭეშმარიტად დემოკრატიული და უკომპრომისო ეროვნული ორგანიზაციები. ამის სანაცვლოდ ერთგვარი გასაქანი ეძლევათ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც მზად არიან ითანამშრომლონ არსებულ ხელისუფლებასთან.

სსრ კავშირის კონსტიტუცია დაპყრობილი ქართველი ერისათვის დამპყრობლის კანონმდებლობაა. ეს კონსტიტუცია ერს არასოდეს არ მიუღია დემოკრატიული პლებისციტით. როდესაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმავლობის გზაზე დადგა, კრემლმა მიზნად დაისახა ამ მისწრაფების სსრკ კონსტიტუციის ფარგლებში მოქცევა — რაც ნიშნავს თავისუფლებისათვის ბრძოლის უფლების მინიჭებას მხოლოდ მათთვის, ვინც თავიდანვე მზად არის დაემორჩილოს დამპყრობელს.

9 აპრილის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში საბჭოთა არჩევნების ჩატარებისათვის მეტად არასახარბიელო პოზიციები ჰქონდა. უკანასკნელ ხანებში ეს პოზიცია საკმაოდ გაიმაგრა არსებულმა ხელისუფლებამ. შექმნილია სახალხო ფრონტი, რომელიც ცნობს კონსტიტუციური ბრძოლის გზას და რა თქმა უნდა, მხარს აუბავს საბჭოთა არჩევნებს. ინსპირირებულმა ეთნოკრიზისმა, ეროვნული მოძრაობის პროვოცირებამ და გათიშვამ, როგორც ჩანს, კრემლს იმედი მისცა, რომ უკვე შესაძლებელი გახდა საბჭოთა არჩევნების ჩატარება. ჩვენ სულ უფრო მეტი სარწმუნო ინფორმაცია მოგვდის იმის შესახებ, რომ ეს არჩევნები დაჩქარდება. ამ არჩევნებით რუსეთის კომუნისტური იმპერია აპირებს დაიკანონოს მეთერთმეტე და მეცხრე წითელი არმიების მონაპოვარი საქართველოში, დაიკანონოს ქართველი ხალხის ნებით.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკლებლივ ყველა ორგანიზაცია მზად არის არჩევნების ბოიკოტისათვის. ამ მიზეზით, როგორც ჩანს, სუკ-ი კიდევ ერთხელ ეცდება ტოტალური დაწოლით გატეხოს ეს ორგანიზაციები და არ მისცეს მათ შეკავშირების საშუალება.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ უერთდება ალტერნატიული არჩევნების კონცეფციას და პარტიის მიერ გამოიცემა ბროშურა, რომელიც აღწერს ალტერნატიული არჩევნების ვარიანტს, მაგრამ მარტო ეს არ იქნება საკმარისი. სოციალისტური პლურალიზმის პი-

# გზა თავისუფლებისაკენ

რობებში უპერსპექტივოდ მივიჩნევთ დემოკრატიული კონცეფციების გატანას და ამიტომ მძაფრად დგება საბჭოთა არჩევნების აქტიური ბოიკოტის საკითხი.

ჩვენ არ უნდა მივცეთ არსებულ ხელისუფლებას იმის საშუალება, რომ შექმნას დემოკრატიული არჩევნების ილუზია. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას/ დემოკრატებისა/ გადაწყვეტილი აქვს საბჭოთა არჩევნების დაწყების შემთხვევაში მიმართოს მასობრივ საპროტესტო შიმშილობას. მანამდის კი, ქართველ ერს მოუწოდებთ იურიდიული დაუმორჩილებლობისაკენ, რაც გამოიხატება საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის უარყოფით.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე საქართველოს ნებისმიერი პატრიოტი, რომელიც აღიარებს საქართველოს ანექსიას და მართლა მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობას, მოვალეა უარი თქვას სსრ კავშირის მოქალაქეობაზე. სსრ კავშირის მოქალაქეობის უარყოფა არის სამოქალაქო ეროვნული დაუმორჩილებლობის სამართლებრივი, მშვიდობიანი და ყველაზე ეფექტური ფორმა, რომლის მასობრივი განხორციელების შემთხვევაში გარანტირებულია საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა.

სსრ კავშირმა განახორციელა არაერთი ერის ანექსია, დღესაც მას დაპყრობილი ჰყავს მრავალი ერი, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სსრ კავშირი რომელიმე დაპყრობილ ქვეყანას განაგებდეს მხოლოდ სამხედრო ძალით. თუ ჩვენ კრემლს მოუსპობთ ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს ჩვენი ნებაყოფლობითი დაკაბალებისა ის იძულებული იქნება დასტოვოს ჩვენი სამშობლო.

## მოგიწოდებთ იურიდიული ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ!




ალსანიშნავია ერთი ამაზრზენი გარემოება. 19 ნოემბერს სახალხო ფრონტმა შეადგინა პეტიცია და მიუხედავად იმისა, რომ მაშინ, როგორც ასეთი, სახალხო ფრონტი ჯერ კიდევ არ არსებობდა, ამ პეტიციაზე ხელი მოაწერინეს 300 ათასამდე ქართველს. პეტიცია გმობდა სსრ კავშირის კონსტიტუციის კანონპროექტს და სანაცვლოდ მიხაილ სერგისძე გორბაჩოვს თხოვდა ახალი კონსტიტუციის შედგენას. ამ პეტიციის ავტორებმა ერის გაბრიყვების რეკორდი დაამყარეს. საქმე ის არის, რომ პეტიციაში ნათქვამი იყო ადგილობრივი მმართველობის ცნობის გარეშე საქართველოში ნუ შემოიღებთ საგანგებო სამხედრო წესებსო. აქედან გამომდინარე ხელისმომწერი 300 ათასი ქართველი რუსეთს უფლებას აძლევდა-თუ საქართველოს ხსრ მარიონეტული მთავრობისათვის ცნობილი იქნებოდა, შემოეყვანათ ის სასანგრე ნიჩბებით და "სიესით" შეიარაღებული კაცისმკვლელი წითელი ჯარისკაცები.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან შეკრებილ ათასობით დემონსტრანტთა ნახევარზე მეტს ხელი ჰქონდა მოწერილი ამ პეტიციაზე. აი სადამდე შეიძლება მიიყვანოს ერი პროვოკაციამ და კოლექტიურმა პოლიტიკურმა გულუბრყვილობამ.

დღეს საქართველოს 5 მილიონიანი მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა კოლექტიურად და პერსონალურად ცნობს თავს სსრ კავშირის მოქალაქედ. თუ ჩვენ თავს ჩვენივე ნებით ვცნობთ სსრ კავშირის მოქალაქეებად, მაშინ რაღას გავიძახით საქართველოს დამოუკიდებლობა გვინდაო ?! ან ჩვენ რატომ ვიტყუებთ თავს ან სხვას რაღას ვაბეზრებთ?!

ნებისმიერი ქვეყნის და მათ შორის სსრ კავშირის მოქალაქეობაც ნებაყოფლობითია. ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სსრ კავშირის მოქალაქეობაზე და სანამ საქართველო დამოუკიდებელი გახდება, დავრჩეთ მოქალაქეობის არმქონე პირებად. თავისუფლება მსხვერპლის გარეშე არ მოდის, მაგრამ ასეთი მსხვერპლი არც თუ ისე მძიმეა, როგორც ეს შეიძლება მოეჩვენოს საქმეში ჩაუხედავ ადამიანს.

კეთდება განცხადება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ. სედპ/დ/ წევრების ტიპიური განცხადება დაბეჭდილია გაზეთ "თავისუფლების" მეთერთმეტე ნომერში. სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის თანახმად მოქალაქეობიდან გამოსვლის შემთხვევაში საჭიროა ფორმა №4-ის შევსება და სახელმწიფო გადასახადის გადახდა 500 მანეთის ოდენობით.

ჩვენ კოლექტიურად ვამბობთ უარს სსრ კავშირის მოქალაქეობაზე სამართლიანი პოლიტიკური მოსაზრებით და უარვყოფთ, როგორც მეტისმეტად გართულებულ პროცედურას, ასევე სახელმწიფო გადასახადს. მიუხედავად ამისა მიგვაჩნია, რომ ჩვენ სავსებით ნათლად გამოვხატეთ ჩვენი სურვილი სსრ კავშირის მოქალაქეობის დატოვების შესახებ და სახელმწიფოს, შემდგომში დაგეგმილი საპროტესტო აქციებით, ვაიძულებთ დააკმაყოფილოს ჩვენი განცხადება. ჩვეულებრივად სსრკ მოქალაქეობიდან გამოსვლა პიროვნებისათვის თითქმის განუხორციელებელ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებამდე, ჩვენი მოქალაქეობიდან გამოყვანის შესახებ, პასპორტი ჩვენთან რჩება. პასპორტის ჩაბარება, დაწვა ან სხვა, არ ნიშნავს იურიდიულად სსრ კავშირის მოქალაქეობის დატოვებას. როცა პრეზიდიუმი მიიღებს გადაწყვეტილებას, ჩვენ უნდა მოგვცეს მოქალაქეობის არმქონე პირის მოწმობა. ე. ი. მთელი ამ პროცესის განმავლობაში ჩვენ არ ვრჩებით პირადობის მოწმობის გარეშე.

სსრ კავშირის კანონმდებლობით, მოქალაქეობის არმქონე პირები სარგებლობენ იგივე უფლებებით, რაც სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრები უცხოელები. მათ რჩებათ მუშაობის, კერძო საკუთრების, ბინის მიღების, განათლების მიღების, სამედიცინო დახმარების მიღების, მგზავრობის და სხვა უფლებები, პენსიის მიღების უფლების ჩათვლით. ამასთან ერთად მოქალაქეობის არმქონე პირი თავისუფლდება სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან და ვერ მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა არჩევნებში.

ჩვენ ისევ და ისევ მოვუწოდებთ ერს სამართლებრივ - პოლიტიკური ბრძოლის გზისაკენ. ისევ და ისევ მივუთითებთ მაჰათმა განდის გზისაკენ. დამპყრობელი მარტოდენ ფიზიკური ძალით ვერას დაგვაკლებს თუ ჩვენ არ დავყვებით მის ნებას და ჩვენივე სურვილით არ შევასრულებთ მოძალადის მიერ თავსმოხვეულ პირობებს.

განდის მოღვაწეობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ეპიზოდი იყო მარილის ლაშქრობა. ბრიტანეთის იმპერია მისი გავლენის სფეროებში აცხადებდა რა მონოპოლიას მარილით ვაჭრობაზე, კრძალავდა კოლონიებში მარილის მოხარშვას. განდის მოწოდებით ინდოელებმა მასობრივად დაიწყეს მარილის ხარშვა. ამ აქციამ იმპერია სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ასეთმა უწყინარმა ფორმამ ისეთი მნიშვნელობა მიიღო, რომ ისტორიაში ეს აქცია ლაშქრობის სახელით შევიდა.

განდიმ მოაწყო ევროპული ტანსაცმლის აუტოდაფე. კოცონზე დაწვა ინგლისური ტანსაცმელი და მთელ ერს მოუწოდა აღარ შეეძინათ ინგლისური საქონელი. ეს აქციაც უდიდესი დარტყმა გამოდგა ბრიტანეთის იმპერიისათვის.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ მიიჩნევს, რომ დღეს საქართველო რუსეთის კომუნისტური იმპერიის ბატონობას ყველაზე დიდ დარტყმას მიაყენებს იურიდიული ეროვნული დაუმორჩილებლობით.

გაფიცვებით ჩვენ ზიანს ვაყენებთ იმპერიას, მაგრამ ჩვენი ოჯახების ისედაც სუსტი ბიუჯეტიც დარტყმის ქვეშ ექცევა. საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმით და სსრკ მოქალაქეობის უარყოფით მოსახლეობა ვერავითარ ზიანს ვერ მიიღებს და ამავე დროს ამ აქციებით გამანადგურებელ დარტყმას მივაყენებთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობას.

ვაჟა მთავრიშვილი სედპ/დ/




# ორიენტირი

აფხაზეთში კრემლის მიერ ინსცენირებულმა ტრაგედიამ უდიდესი მორალურ-ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენა როგორც მთლიანად ქართველ ერს, ასევე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მტრის სისასტიკითა და დაუნდობლობით შეძრწუნებულმა ქართველმა კაცმა იარაღსაც კი მოჰკიდა ხელი თავდასაცავად. ყოველი ნორმალური, სულით ძლიერი ადამიანის ბუნებრივი რეაქცია ჩვეულებრივ პირობებში /დამოუკიდებელ სახელმწიფოში/ ალბათ ზუსტად ასეთივე იქნებოდა. მაგრამ, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სტატუსის პირობებში, როდესაც საქართველოს ტერიტორია, არსებული საბჭოთა კონსტიტუციითაც კი ქართველების საკუთრება არ არის, ჩვენ უფრო მეტი პოლიტიკური სიფხიზლე გვმართებს. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ, პრინციპულად შეუძლებელია მწვავე ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტების სწრაფი, ერთი დარტყმით გადაწყვეტა. ეთნოკონფლიქტების თანდათანობითი განმუხტვა, ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის რეალურად დამკვიდრება და სახელმწიფოს ზრუნვა საქართველოში ქართული ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნებისათვის - აი, ის სამი ძირითადი პირობა, რომელთა განხორციელება პრაქტიკულად ალკვეთს ეთნოკონფლიქტებს საქართველოში. სამივე ამ პირობის რეალურად განხორციელებისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება.

/ გაგრძელება VII გვერდზე /

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/

# მ ი მ ა რ თ ვ ა

თანამემამულენო!

თითოეული თქვენგანი მრავალი წლის განმავლობაში მოწმე იყო ე.წ. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ჩატარების ფარსისა. ამ არჩევნების პრაქტიკა შეესაბამებოდა ქართული სახელმწიფოს მარიონეტულ, დამორჩილებულ სტატუსს და ბუნებრივია, არჩევნების ერთადერთი შედეგი იყო მხოლოდამხოლოდ კონფორმისტი და "ტაშისდამკვრელი" დეპუტატების არჩევა, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად აწუხებდათ საქართველოს და მისი მოსახლეობის ბედ-იღბალი.

დემოკრატია განუყოფელია თავისუფალი არჩევნებისაგან. ხალხის ნება ყველა ორგანიზაციის პოლიტიკურ ნებაზე მაღლა დგას. პოლიტიკური სუვერენიტეტი მხოლოდამხოლოდ ხალხის პრეროგატივაა და ამიტომ თავისი ბედი რესპუბლიკის მოსახლეობამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისუფალი არჩევნების საფუძველზე.

ყველა ერს მინიჭებული აქვს თვითგამორკვევის უფლება თავისუფალი არჩევნების საფუძველზე. ეს უფლება გარანტირებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით /იხ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრეამბულა, მუხ. 1, 13,55,76. XI და XII თავები; 1966 წლის პაქტი ადამიანის უფლებათა შესახებ /მუხლი 1/; 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია /მუხლი 2 და 21/; 1960 წლის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისადმი დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ /2-5 მუხ./ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხვა რეზოლუციები.

პარტიულ-ბიუროკრატიული მაფია და საზოგადოების კორუმპირებული ელემენტები ძალზე კარგად ახერხებენ უმაღლეს საბჭოში შეიყვანონ "დაგეგმილი" მართვადი დეპუტატები, რომელთაც არავითარი უფლება არა აქვთ წარმოადგენდნენ საქართველოს მოსახლეობის ნამუსსა და ინტელექტს.

საბჭოთა ხელისუფლების განცხადებები "დემოკრატიული" საბჭოთა არჩევნების ჩატარებისა, "კარგი" საბჭოთა დეპუტატების არჩევისა და "საბჭოთა პარლამენტის" შექმნის შესახებ მისი მორიგი ფარსია, რადგან ერთპარტიული მონოპოლიის პირობებში შეუძლებელია პარლამენტარიზმისა და თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების პრინციპების განხორციელება, ხოლო ყოველი დეპუტატი, რაგინ გულამწვარი პატრიოტიც არ უნდა იყოს, ავტომატურად იქცევა საბჭოთა სოციალისტური სისტემის ტოტალიტარული მექანიზმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად და მისი დეპუტატობით მხოლოდ აძლიერებს ანტიხალხურ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში. ამიტომ ვთვლით, რომ გასაგები უნდა იყოს ჩვენი და სხვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიცია, ბოიკოტი გამოვუცხადოთ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ბოიკოტის გამოცხადება /მისი აქცენტირება/ უფრო პასიური ხასიათის მატარებელი აქცია იქნება და საჭიროა მშვიდობიანი ბრძოლის უფრო აქტიური ფორმის მოძებნა. ასეთად მიგვაჩნია ალტერნატიული არჩევნების ჩატარება.

ასეთი არჩევნების ჩატარებისთვის საჭიროა არჩევნების კანონის არსებობა, რომელიც დამტკიცებული იქნება საერთო სახალხო რეფერენდუმზე. საერთო სახალხო რეფერენდუმის ჩატარების კანონიც უნდა შემუშავდეს, რადგან ასეთი კანონი ჯერ დღეს არ არსებობს.

ჩვენს მიერ დამუშავებულია საქართველოს სათათბიროს დეპუტატების არჩევნების კანონის პროექტი და საქართველოში საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარების კანონის პროექტი. ეს დოკუმენტები საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/ ვარიანტია. პარტია მზად არის ითანამშრომლოს სხვა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებთან ერთიანი ვარიანტის შესამუშავებლად.

როგორია ასეთი არჩევნების ჩატარების ჩვენეული კონცეფცია და ის პოლიტიკური არგუმენტაცია, რომელიც ლაპარაკობს მის სასარგებლოდ?!

როგორც ცნობილია, რეფერენდუმი უშუალო /პირდაპირი/ დემოკრატიის გამოხატვის ისტორიულად აპრობირებული ფორმაა და მასში თვალნათლივ ჩანს ხალხის როლი, როგორც ჭეშმარიტი კანონმდებელი სუბიექტისა.

საქართველოში დღევანდელ პირობებში შექმნილი სიტუაციისა და პოლიტიკურ ძალთა განლაგების გათვალისწინებით, ვთვლით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა დაიჭერს სწორ პოზიციას და ამიტომ ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი რეფერენდუმის შედეგებში.

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ეროვნულ-პოლიტიკურ კონსოლიდაციაზე. როგორც კაცობრიობის ისტორიული და პოლიტიკური გამოცდილება გვასწავლის, კონსოლიდაცია საერთოდ შეუძლებელია უპრინციპო და პრიმიტიულ საწყისებზე. იგი შესაძლებელია მხოლოდამხოლოდ იდეოლოგიურ საფუძველზე. კონსოლიდაცია რომ მოხდეს, საჭიროა გამაერთიანებელი იდეა ბრძოლის მოცემულ ეტაპზე და არა მხოლოდ ის საყოველთაოდ მოწონებული "ხატი", რომელიც სტრატეგიული მიზანიცაა და უფრო მაღალი ხარისხის გამაერთიანებელი იდეაც.

ჩვენ დღესდღეობით ამ იდეას ვხედავთ ალტერნატიული არჩევნების ჩატარებაში. ყველაფერთან ერთად ალტერნატიული არჩევნები, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს მოსახლეობის პოლიტიკური ცოდნისა და გათვითცნობიერების დონის ამაღლების საქმეს.

გვჯერა, აგრეთვე, რომ ამ აქციით ეროვნული მოძრაობის "ტემპერატურა" შენარჩუნებული იქნება საჭირო კონდიციით.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ოფიციალურმა "ხელისუფლებამ" გათელოს რეფერენდუმის შედეგები.

თუ ასე წარიმართა პოლიტიკური განვითარების პროცესები, მაშინ უფრო მისაღები შეიქნება საყოველთაო ეროვნული ბოიკოტი და გვჯერა, იგი შეიძენს უფრო აქტიურ ხასიათს, რაშიც ალბათ დიდ დახმარებას გაგვიწევს მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრიობის მხარდაჭერაც.

მეგობრებო, ბევრი მისაღები ქვეტექსტი აქვს ამ გამაერთიანებელ იდეას, რომელიც შეიძლება იქნას დანახული უბრალო ანალიზის საფუძველზედაც. ერთადერთი, რასაც საჭიროებს მისი განხორციელება, ესაა ეროვნული ძალების ძალისხმევა. ამიტომ, მოგმართავთ ყველას, რომ ყურადღებით შეისწავლოთ თქვენს სამსჯავროზე გამოტანილი დოკუმენტები და სწორი შეფასება მისცეთ მათ.

დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის პოლიტიკური ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში, საერთო კონცეფციის შემუშავება და საერთოდ ამ იდეის განხორციელება სრულიად შესაძლებელია, ხოლო ხალხის საყოველთაო მხარდაჭერა მისი აუცილებელი პირობა და სრული გარანტიაა.

შევნიშნავთ, რომ გამაერთიანებელი იდეის განხორციელება არ გამორიცხავს პარალელური აქციების ჩატარების შესაძლებლობასაც, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდნენ ისინი.

პროექტი

# საქართველოში საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარების კანონი

რეფერენდუმი რესპუბლიკის მოსახლეობის პოლიტიკური ნების უშუალო /პირდაპირი/ გამოხატვის სოციალური მექანიზმია.

მოსახლეობის უფლება, ნებისმიერ ფორმაში გამოხატოს თავისი ნება რესპუბლიკის ცხოვრების წესის რეგულირების უკლებლივ ყველა საკითხების მიმართ, ეროვნული სუვერენიტეტის პრაქტიკულად მოპოვებული უფლებრივი სტატუსის მაჩვენებელია და აქედან გამომდინარე, ყოველმხრივ საჭიროებს დაცვასა და ხელშეწყობას.

რეფერენდუმი მმართველი დამმართვადი სუბიექტების, კონსენსუსის ინსტრუმენტიცაა. იგი ხელს უწყობს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სოციალური სტრუქტურების ფუნქციონირების სახალხოდ მოწონებული წესის დემოკრატიულად დამკვიდრების საქმეს, ადამიანური და საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესის ამოცანებს.

მის წინაშე დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, რეფერენდუმის ჩატარების მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის მოსახლეობის პოლიტიკური ნების მართალი და გაუყალბებელი გადმოცემა, რა ფორმითაც არ უნდა ტარდებოდეს იგი.

მუხლი 1. სახელმწიფოებრივი ცხოვრების მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი კანონები / საკითხები / გაიტანება საერთო - სახალხო რესპუბლიკურ რეფერენდუმზე.

მუხლი 2. რეფერენდუმზე გასატანი კანონებისა და საკითხების სახეობა, წრე და ნუსხა წინასწარ არ განისაზღვრება. ხალხის პოლიტიკური ნება, როგორც სუვერენული უფლების მატარებელი სუბიექტისა, დამოუკიდებლად განსაზღვრავს რეფერენდუმზე გასატან საკითხებსა და კანონებს.

მუხლი 3. ა/ არსებული პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, როგორც პეტიციური კამპანიები, ასევე რეფერენდუმები ტარდება საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში, მოქალაქენი თანასწორნი არიან წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ამომრჩევლის და შესაბამისად, რეფერენდუმში მონაწილის ასაკობრივი ცენზი დაყვანილია 16 წლამდე.

ბ/ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომლებიც რეფერენდუმის ჩატარების მომენტში იმყოფებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში ე. წ. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და საბჭოთა არმიაში გაწვევამდე ჩაწერილი არ ყოფილან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში; სსრ კავშირის არმიის სარდლობას, ოფიცრებს, ზევადით სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე საქართველოში დ .ოებით მოვლინებულ ან დროებით სამუშაოზე მყოფ პირებს.

რეფერენდუმში არ მონაწილეობენ თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი / გარდა პოლიტპატიმრებისა/, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იმყოფებიან იძულებითი მკურნალობის ადგილებში. იმ პირების რეფერენდუმში მონაწილეობის საკითხს, რომლებიც ითვლებიან ფსიქიურად დაავადებულებად და რომლებიც საბჭოთა სასამართლომ ცნო არაქმედითუნარიანებად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს ცენტრალური კომისია.

მუხლი 4. რეფერენდუმის ჩატარების გატაწყვეტილების უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის მოსახლეობის პოლიტიკურ ნებას. იმისათვის, რომ ჩატარდეს რეფერენდუმი, საჭიროა შეგროვდეს პეტიცია არანაკლებ 50 ათასი ადამიანის ხელმოწერით. პეტიციის ორგანიზაციის სუბიექტები შეიძლება იყვნენ: უშუალოდ ამომრჩეველთა ჯგუფები, დამოუკიდებელი ავტონომიური პოლიტიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ვინაიდან, რესპუბლიკის უზენაესი კანონმდებელია ქართველი ხალხი, პეტიცია იწერება ქართველი ხალხის სახელზე / მიმართვით: -მის უზენაესობას და რესპუბლიკის მთავარ კანონმდებელს- ქართველ ხალხს/.

მუხლი 5. საჭირო რაოდენობის ამომრჩეველთა მიერ დამოწმებული პეტიციის შეგროვების ფაქტი, ავტომატურად ნიშნავს რეფერენდუმის მოწვევის ნებართვას. დამატებითი გადაწყვეტილების მიღება სხვა რომელიმე წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ აღნიშნული კანონით არაა გათვალისწინებული.

მუხლი 6. რეფერენდუმების ჩატარების რიგი შეესაბამება ცალკეული პეტიციების შეგროვების კალენდარულ რიგს.

მუხლი 7. პეტიციაში მონაწილე დამოუკიდებელი ამომრჩევლები ქმნიან საინიციატივო მუშა ჯგუფს ათი კაცის შემადგენლობით, რომლის პრეროგატივაშიც შედის

რეფერენდუმის ჩატარების ხელშემწყობი ცენტრალური კომისიის არჩევა. / დამოუკიდებელ ამომრჩევლებად ითვლებიან ისინი, ვინც არ არის არც ოფიციალური ხელისუფლებისა და არც ოპოზიციური ძალების წარმომადგენელი/.

მუხლი 8. ცენტრალურ კომისიაში შედიან საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი უპარტიო წარმომადგენლები 50 კაცის შემადგენლობით. ცენტრალურ კომისიაში შესაყვანი წევრების კანდიდატებს წარმოადგენენ მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გაუყალბებელი რეფერენდუმის ჩატარებაში. კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ორ მოადგილეს და მდივანს. კომისია უფლებამოსილია ასეთი არჩევნებისათვის, თუ მასში მონაწილეობას ღებულობს კომისიის წევრთა სამი მეოთხედი. ცენტრალური კომისიის ჩამოყალიბება მთავრდება რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილების მიღებიდან სამი კვირის განმავლობაში.

მუხლი 9. რეფერენდუმის ჩატარების ხელშემწყობი ც/კომისია თავისი ჩამოყალიბების დღიდან თვენახევრის განმავლობაში აყალიბებს ადგილობრივ კომისიებს, რომლებიც იქმნება ყველა ქალაქის სტატუსის მქონე ერთეულში და ემსახურება მიმდებარე ტერიტორიების / სოფლების, დაბების და სხვა/ მოსახლეობას. ადგილობრივ კომისიებში შედიან მხოლოდ და მხოლოდ უპარტიო ამომრჩევლების წარმომადგენლები. კომისიის წევრთა რიცხობრივი შემადგენლობა განისაზღვრება ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე.

მუხლი 10. კომისიის წევრები დროებით უნდა გათავისუფლდნენ / ნებაყოფლობით/ სამსახურიდან რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციისათვის, საშუალო ხელფასის შენარჩუნებით. ეს ხარჯები იფარება რეფერენდუმის ჩატარების ხელშემწყობი ფონდიდან.

მუხლი 11. რეფერენდუმის ჩატარების ფინანსირება ხდება საზოგადოებრიობის შემოწირულობათა საფუძველზე. ფონდის მთავარი განმგებელია ც/კომისია, რომელიც არეგულირებს სახსრების ხარჯვას შესაბამისი მიმართულებით. შემოწირულობანი მიიღება აქტივისტების მიერ, ც/კომისიის ჩამოყალიბების დღიდანვე.

მუხლი 12. რეფერენდუმის ჩატარება, სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, მიზანშეწონილია გარეშე დამოუკიდებელი მეთვალყურეების მონაწილეობით. გარეშე მეთვალყურედ შეიძლება მოწვეული იქნან გაეროს, საერთაშორისო დემოკრატი იურისტების ასოციაციის ან სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მეთვალყურეებს აქვთ უფლება რეფერენდუმის ჩატარების ყველა სტადიაზე შეამოწმონ რეფერენდუმის მიმდინარეობა. სხვა სუბიექტები არ არიან აღჭურვილნი ასეთი უფლებებით. მეთვალყურეებს არა აქვთ აქტიური ჩარევის უფლება. შემოწმება ხდება პასიური მეთვალყურის საწყისებზე.

მუხლი 13. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რეფერენდუმის შედეგების ფალსიფიცირების შესაძლებლობა და გამარტივდეს რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციული მხარე, რეფერენდუმში გამოიყენება სახელობითი ბიულეტენები. სახელობითი ბიულეტენების გამოყენების პირობებში არაა საჭირო ოლქებისა და უბნების ჩამოყალიბება.

სახელობითი ბიულეტენის ერთ მხარეს რეფერენდუმში მონაწილე წერს თავის გვარს, სახელსა და მამის სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს; მეორე მხარეს კი-უპასუხებს რეფერენდუმში დასმულ კითხვებს.

ბიულეტენების ფორმებსა და ზომებს ადგენს ც/კომისია; ბიულეტენის ბლანკები დანომრილია.

მუხლი 14. რეფერენდუმის ჩატარება ხდება აქტივისტების მეშვეობით, რომლებიც სახლებში მოინახულებენ ამომრჩევლებს მათზე მიმაგრებული ზონის ფარგლებში. აქტივისტების რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი კომისია ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. კომისია აქტივისტებს უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს. აქტივისტებად მოიწვევიან არაპარტიული ამომრჩევლები.

სახლებში მისვლისას პარალელურად ხდება ამომრჩეველთა რეგისტრაცია. ამომრჩევლებმა უნდა გაუწიონ ყოველგვარი დახმარება აქტივისტებს.

მუხლი 15. აკრძალულია რეფერენდუმში მონაწილეობის დაძალება. აქტივისტებს უფლება აქვთ ახსნა-განმარტებითი საქმიანობის წარმოებისა, რეფერენდუმში მონაწილე თითვეული პირის თხოვნის შემთხვევაში.

მუხლი 16. რეფერენდუმზე კანონების ან საკითხების გამტანი სუბიექტი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ავტონომიური პოლიტიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ასეთივე უფლება აქვს უშუალოდ ამომრჩეველთა ჯგუფებს. კანონის /საკითხის/ ინიციატორებს უფლება აქვთ ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი წინასარეფერენდუმო კამპანია.

მუხლი 17. რეფერენდუმის ჩატარების ვადას და ხანგრძლივობას ადგენს ც/კომისია.

მუხლი 18. რეფერენდუმში გამოიყენება დახურული ურნები, რომლებიც არ იხსნება რეფერენდუმის დამთავრებამდე. რეფერენდუმის დამთავრების შემდეგ ყველა ცალკეული კომისია შეუდგება ხმების დათვლას. მათ ავტონომიურად გამოყავთ რეფერენდუმის ჩატარების შედეგები. დგება შესაბამისი ოქმები, რომლებსაც ხელს აწერს კომისიის უკლებლივ ყველა წევრი. ოქმები გადაეცემა ც/კომისიას. ურნების გაბარიტებსა და რაოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი კომისია. გამოყენებული ბიულეტენები შეინახება ადგილობრივი კომისიის მიერ შერჩეულ ადგილებში. ასევე ინახება წინასარეფერენდუმო პეტიციები ც/კომისიაში.

მუხლი 19. ც/კომისია შეაჯამებს შედეგებს და აცნობებს საქართველოს მოსახლეობას.

ც/კომისია ადგენს რეფერენდუმის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომელსაც ხელს აწერს ც/კომისიის უკლებლივ ყველა წევრი.

რეფერენდუმის ჩატარების პერიოდში აკრძალულია რაიმე შუალედური შედეგებისა და მასალების გამოქვეყნება.

მუხლი 20. იქ, სადაც მოხდა რეფერენდუმის ფალსიფიცირება, ხელმეორედ უნდა ჩატარდეს გამოკითხვა. ფალსიფიცირების ფაქტის დადგენის უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველთა /რეფერენდუმში მონაწილეთა/ ცალკეულ ჯგუფებს, რაც დამოწმებული უნდა იყოს ფაქტობრივი მასალით. ამ საკითხებს სწავლობს და მათთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ღებულობს ც/კომისია.

მუხლი 21. თუ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონეთა ნახევარზე მეტმა დაადასტურა რეფერენდუმზე გატანილი კანონის /საკითხის/ შემოთავაზებული გადაწყვეტის საჭიროება, წარმოდგენილი დოკუმენტები ჩაითვლება მოწონებულად რეფერენდუმის მიერ.

მუხლი 22. რეფერენდუმზე გატანილი კანონი /საკითხი/ ამომრჩევლების უმრავლესობის მოწონების შემთხვევაში /იხ. მუხლი 21/, მიღებულად ჩაითვლება მისი შედეგების გამოქვეყნების დღიდანვე.

მუხლი 23. წინამდებარე რეფერენდუმის ჩატარების კანონის პროექტის მოწონება ხდება შესაბამისი რეფერენდუმის ჩატარების საფუძველზე. ამ რეფერენდუმის ჩატარების პრინციპები /მექანიზმი/ უნდა შეესაბამებოდეს რეფერენდუმის ჩატარების წინამდებარე კანონის პროექტში მოცემულ პრინციპებს /მექანიზმს/.

პროექტი

# საქართველოს სათათბიროს დეპუტატების არჩევნების კანონი

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ვინაიდან ქართველ ხალხს გააჩნია სულ მცირე 2500, წლოვანი სახელმწიფოებრივი არსებობის ისტორია,

ვინაიდან XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიამ უხეშად დაარღვია 1783 წლის რუსეთ- საქართველოს ხელშეკრულება და საქართველოს ოკუპაციით მოახდინა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება,

ვინაიდან 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპით აღადგინა ქართული სახელმწიფოებრიობა და გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ძალით დე ფაქტო და დე იურე სცნო მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმაც,

ვინაიდან 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ინკორპორაციის გზით 1922 წლის 30 დეკემბერს ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ შეიყვანა იგი რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე.წ სსრ კავშირის შემადგენლობაში.

ვინაიდან გარეშე ძალის ჩარევით ქართველ ხალხს თავს მოახვიეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც საქართველოში არც პლებისციტით და არც საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებით ქართველი ერისაგან აღიარება არ მიუღია,

ვინაიდან ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და აწარმოებს უკომპრომისო, შეურიგებელ ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რაც გამოიხატა 1924 წლის აგვისტოს საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებით და ოთხმოციანი წლების ეროვნული მოძრაობის აღმავლობით საქართველოში,

ვინაიდან 68 წლის განმავლობაში საქართველოს მართავდა მარიონეტული საბჭოთა მთავრობა და მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ჩატარებულა თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები,

ვინაიდან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21 მუხლის მე- 3 პუნქტის თანახმად, რომელზედაც ხელი აქვს მოწერილი სსრკ-ს მთავრობასაც,

" ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა. ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში ფარული კენჭისყრით, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას"

ქართველი ხალხი გამოხატავს თავის ურყევ ნებას:

I. აღდგეს საქართველოს სათათბირო;

2. საქართველოს სათათბიროს დეპუტატები აირჩეს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების პრინციპებით "საქართველოს სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების კანონის" საფუძველზე.

## I. საერთო დებულებანი

მუხლი I. საქართველოს სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების საფუძვლები.

საქართველოს სათათბირო არის სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმომქმედი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ორგანო.

საქართველოს სათათბიროს არჩევნები ტარდება მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში.

არჩევნები წარმოებს საყოველთაო, თანაბარი და არაპირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების უფლება მინიჭებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიებს და სხვა ავტონომიურ საზოგადოებრივ- პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

არჩევნების სისტემა დაფუძნებულია პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპზე.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები ყველა საარჩევნო ოლქიდან საყოველთაოა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ე.წ. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი და რომელიც ჩაწერილია საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ფარგლებში წინამდებარე კანონის გამოქვეყნების დღემდე.

სისხლის პრინციპით ქართველებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა ან ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობრივი კუთვნილებისა. მათთვის შეიქმნება სპეციალური საარჩევნო უბანი ქ. თბილისში.

არჩევნებში მონაწილეობა უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომლებიც არჩევნების მომენტში იმყოფებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში ე.წ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, საბჭოთა არმიის სარდლობას, ოფიცრებს, ზევადით სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც საბჭოთა არმიაში გაწვევამდე ჩაწერილნი არ ყოფილან საქართველოს ადმინისტრაციულ- ტერიტორიულ ფარგლებში, საქართველოში მივლინებულ ან დროებით სამუშაოზე მყოფ პირებს.

დეპუტატად შეიძლება აირჩეს ყველა ცალკეული პირი, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი. აკრძალული ადამიანის ამ კანონით გათვალისწინებული საარჩევნო უფლებების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა მისი მოქალაქეობრივი სტატუსის /არის თუ არ არის სსრკ-ს მოქალაქე/, წარმოშობის, სოციალური თუ ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი თუ ნაციონალური კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიასთან დამოუკიდებლობის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიხედვით.

იმ პირების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი, რომლებიც საბჭოთა სასამართლოს მიერ აღიარებულნი არიან არაქმედითუნარიანებად, ან ცნობილნი არიან ფსიქიურად დაავადებულებად, აგრეთვე იმ პირებისა, რომლებიც იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ან საბჭოთა სასამართლოს მიერ გაგზავნილი არიან იძულებით მკურნალობაზე, უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

მუხლი 3. თანაბარი საარჩევნო უფლება.

ამომრჩევლებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის თანაბარი უფლებები. ამომრჩეველი იღებს მონაწილეობას ერთ საარჩევნო ოლქში მოწყობილ არჩევნებში და მინიჭებული აქვს ერთი საარჩევნო ხმა.

მუხლი 4. არაპირდაპირი საარჩევნო უფლება

სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები არაპირდაპირია. ამომრჩევლები ხმას აძლევენ არა პირდაპირ დეპუტატობის კანდიდატს, არამედ იმ პარტიას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი აზრით უფრო უკეთესად გამოხატავს ამომრჩევლების ინტერესებს, პარტია ან ორგანიზაცია მიღებული მანდატების რაოდენობის ფარგლებში განსაზღვრავს თავის პერსონალურ წარმომადგენლებს საქართველოს სათათბიროს დეპუტატის ფუნქციის შესასრულებლად.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრა სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს ფარულია. აკრძალულია ყველა სახის კონტროლის დაწესება ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინებაზე.

მუხლი 6. დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების უფლების სუბიექტები.

დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების უფლება ენიჭებათ ცალკეულ, რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედ დამოუკიდებელ, ავტონომიურ პოლიტიკურ პარტიებს, ავტონომიურ საზოგადოებრივ- პოლიტიკური და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მათ ცალცალკე მინიჭებული აქვთ უფლება ყოველ საარჩევნო ოლქში წარადგინონ დეპუტატთა კანდიდატების თავიანთი სიები.

მუხლი 7. პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა. ხმის დათვლის სისტემა დაფუძნებულია პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპზე. ეს სისტემა გულისხმობს:

ა/ საქართველოს ტერიტორიის დაყოფას საარჩევნო ოლქებად, თითოეულში თანაბარი რაოდენობის ამომრჩეველთა აუცილებელი დაცვით.

ბ/ დგინდება ერთი მანდატის მისაღები ამომრჩეველთა მინიმალური ხმების რაოდენობა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება არჩევნებზე მოპოვებული საერთო მანდატების რიცხვი, ცალკეული პარტიებისა და ორგანიზაციების მიხედვით.

გ/ თუ მიღებული ხმების რაოდენობა ნაკლებია კანონით განსაზღვრულ მინიმალური ხმების რაოდენობაზე და ცალკეული ოლქების მიხედვით არჩევნებში მონაწილე მანდატების რაოდენობა მთლიანად არაა განაწილებული, მანდატი ეძლევა იმ პარტიას ან ორგანიზაციას, რომელსაც აღნიშნულ საარჩევნო ოლქში ხმა მისცა აბსოლუტურად უფრო მეტმა ამომრჩეველმა.

მუხლი 8. საქართველოს სათათბიროს არჩევნების მომზადებისა და მოწყობის საჯაროობა.

არჩევნების მომზადება და ჩატარება, საჯაროობის პრინციპების საფუძველზე შედის საარჩევნო კომისიების პრეროგატივაში. აქეთკენაა მიმართული აგრეთვე არჩევნებში მონაწილე ცალკეული პარტიებისა თუ ორგანიზაციების ძალისხმევა.

საარჩევნო კომისიები გადასცემენ შესაბამის ინფორმაციას ყველა დაინტერესებულ ამომრჩეველს: - კომისიების მუშაობის, საარჩევნო ოლქების ჩამოყალიბების, კომისიების ადგილმდებარეობისა და სამუშაო საათების ამომრჩეველთა სიების და რეგისტრაციაში გატარებული დეპუტატთა კანდიდატების სიებისა და არჩევნების შედეგების შესახებ.

კომისიების მუშაობაზე პასიური მეთვალყურეობა შეუძლიათ ამომრჩევლებს და ცალკეული პარტიებისა თუ ორგანიზაციების ნდობით აღჭურვილ პირებს.

მუხლი 9. ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნების მომზადების სტადიაზე.

რესპუბლიკის მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების მოსამზადებელ სტადიაზე წინასაარჩევნო შეხვედრებსა და ხელშეკრულებებში.

არჩევნებში მონაწილე ცალკეული პარტიები და ორგანიზაციები აცნობენ თავიანთ წინასაარჩევნო პლატფორმებს შესაბამისი საარჩევნო ოლქების მაცხოვრებლებს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისას.

მუხლი 10. არჩევნების ჩატარების მატერიალური და ფულადი უზრუნველყოფა.

არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მატერიალური და ფულადი უზრუნველყოფისათვის წესდება საქართველოს სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების ფულადი ფონდი.

არჩევნების ფონდს ქმნის ქართველი ხალხი შენაწირების სახით.

არჩევნების ფონდის გამგებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 11. საქართველოს სათათბიროს დეპუტატთა თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელის შეშლა.

ოფიციალური ხელისუფლების, ან რომელიმე სხვა ორგანიზაციის ან ცალკეული პირების მხრიდან ნებისმიერი ფორმით გამოხატული ხელის შეშლა, ზემოქმედება, ბლოკირება ან შეფერხება თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების აგრეთვე ნებისმიერი ორგანიზაციის ან ცალკეული პირების მიერ წინამდებარე არჩევნების კანონის მოთხოვნილებათა დარღვევა ან ყოველგვარი დეზინფორმაციის გავრცელება არჩევნებში მონაწილე ცალკეული პირებისა თუ ორგანიზაციების შესახებ, ვისგანაც არ უნდა მიმდინარეობდეს ეს, აგრეთვე, საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება, ჩაითვლება ქართველი ხალხის სუვერენული ნების შელახვად და საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომწვევ ქმედებად.

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს ეკრძალებათ ყოველგვარი წინასაარჩევნო კამპანიის გაწევა ან თვითრეკლამა ოფიციალური საბჭოთა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით. პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების არჩევნებთან დაკავშირებული ყველა მასალა ქვეყნდება მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინფორმაციო ბიულეტენში.

მუხლი 12. საქართველოს სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების ფალსიფიკაციის თავიდან აცილება.

არჩევნების ფალსიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია არჩევნებზე მოწვეული იქნან გაეროს, იურისტ- დემოკრატთა საერთაშორისო ასოციაციის ან სხვა საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ცალკეულ საარჩევნო უბნებში არჩევნების ფალსიფიცირებისას, ხელმეორედ უნდა ჩატარდეს კენჭისყრა. ფალსიფიკაციის ფაქტის დადგენა აქვს მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველთა ცალკეული ჯგუფებს. ფალსიფიცირების ფაქტი დამოწმებული უნდა იყოს ამ ამომრჩევლების მიერ ფაქტობრივი მასალით. ფალსიფიკაციასთან დაკავშირებულ მასალებს სწავლობს და გადაწყვეტილებებს ღებულობს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

## II. საქართველოს სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების დანიშვნის წესი და საარჩევნო ოლქების ჩამოყალიბება.

მუხლი 13. საქართველოს სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების დანიშვნის წესი. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 14. საარჩევნო ოლქების ჩამოყალიბება.

დეპუტატების არჩევნების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება 30 საარჩევნო ოლქი.

ოლქებს აყალიბებს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ცალკეული ოლქებიდან აირჩევა შვიდი სახალხო დეპუტატი.

არჩევნების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისია აქვეყნებს საარჩევნო ოლქების სიებს, მათი საზღვრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ადგილმდებარეობის ჩვენებით.

## III. საარჩევნო უბნები.

მუხლი 15. საარჩევნო უბნების ჩამოყალიბება.

სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების ჩატარებისას, კენჭისყრისა და მიცემული ხმების დათვლის ოპერატიული ორგანიზების მიზნით, საარჩევნო ოლქები იყოფა შიგასაარჩევნო უბნებად. ის ამომრჩევლები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ან სხვა მიზნით, ხმას აძლევენ თავიანთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 16. საარჩევნო უბნების შექმნის წესი.

საარჩევნო უბნებს აყალიბებენ საარჩევნო ოლქების შესაბამისი საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო უბნები იქმნება არაუგვიანეს სამი თვისა არჩევნების ჩატარებამდე.

საარჩევნო უბნები ყალიბდება ამომრჩეველთა არანაკლებ 50 და არაუმეტეს 10000 ამომრჩეველზე.

საარჩევნო უბნების საზღვრებს განსაზღვრავს საარჩევნო ოლქის კომისია. უბნის ადგილმდებარეობა და კენჭისყრის ჩატარების ადგილი ეცნობება ამომრჩევლებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ბიულეტენის საშუალებით.

## IV. საარჩევნო კომისიები

მუხლი 17. საარჩევნო კომისიათა სისტემა.

დეპუტატთა არჩევნების ჩატარებისათვის შეიქმნება შემდეგი სახის კომისიები:

ა/ ცენტრალური საარჩევნო კომისია, რესპუბლიკის მასშტაბით,

ბ/ საოლქო საარჩევნო კომისიები,

გ/ უბნების საარჩევნო კომისიები.

მუხლი 18. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ყალიბდება არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ორგანიზაციების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, პარიტეტისა და კონსენსუსის პრინციპით.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ყალიბდება წინამდებარე კანონის საერთო სახალხო რეფერენდუმზე, დამტკიცების დღიდან I თვის ვადაში.

კომისიაში შედის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და კომისიის წევრები.

ცენტრალური კომისიის ძალმოსილება ვრცელდება საქართველოს სათათბიროს მოწვევამდე.

მუხლი 19. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება.

დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური კომისია:

ა/ ნიშნავს არჩევნების ჩატარების ვადას.

ბ/ აწარმოებს წინამდებარე კანონის შესრულების კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე. უზრუნველყოს ამ კანონის ერთგვაროვან გამოყენებას.

გ/ წარმართავს საარჩევნო კომისიების მუშაობას. განსაზღვრავს საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შეცვლის წესს.

დ/ აყალიბებს ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებს.

ე/ ადგენს საარჩევნო ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების და სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტების ფორმებს, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების ნიმუშებს, ადგენს საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს.

ვ/ გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენებს

ზ/ რეგისტრაციაში ატარებს ამორჩეულ დეპუტატებს, აჯამებს არჩევნების შედეგებს რესპუბლიკის მასშტაბით საინფორმაციო ბიულეტენში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და არჩეულ დეპუტატთა სიას.

თ/ საქართველოს სათათბიროს სამანდატო კომისიის გადასცემს ყველანაირ საარჩევნო დოკუმენტაციას, რათა გადამოწმებულ იქნას სათათბიროს დეპუტატთა ძალმოსილება.

ი/ იხილავს განცხადებებს და საჩივრებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების შესახებ. შემოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხებთან დაკავშირებით.

კ/ ახორციელებს სხვა ძალმოსილებას, რომლებიც თანახმად წინამდებარე კანონისა შედის მის პრეროგატივაში.

მუხლი 20. საოლქო საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბება.

საოლქო საარჩევნო კომისია ყალიბდება ყველა ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში, არაუგვიანეს ოთხი თვისა არჩევნების ჩატარებამდე.

კომისიები ყალიბდებიან ცენტრალური კომისიის ხელშეწყობით, მრავალპარტიული წარმომადგენლების ურთიერთშეთანხმებულ საფუძველზე.

კომისიაში შედიან თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები.

მუხლი 21. საოლქო საარჩევნო კომისიების ძალმოსილება.

საოლქო საარჩევნო კომისიები:

ა/ აწარმოებენ წინამდებარე კანონის შესრულების კონტროლს საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

ბ/ წარმართავენ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას.

გ/ თვალყურს ადევნებენ ამომრჩეველთა სიების შედგენას და მათ წარდგენას საყოველთაო გაცნობის მიზნით.

დ/ ხელს უწყობენ ცალკეული პარტიებსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში.

ე/ რეგისტრაციაში ატარებენ პარტიებისა და ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ დეპუტატთა კანდიდატების სიებს.

ვ/ უზრუნველყოფენ ბიულეტენების დამზადებას, მიღებული ფორმის შესაბამისად და საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას ამ ბიულეტენებით.

ზ/ აქვეყნებენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინფორმაციო ბიულეტენში არჩევნების შედეგებს. გასცემენ დროებით მოწმობას არჩეულ დეპუტატებზე.

თ/ სწყვეტენ საკითხებს პარტიებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცალკეული დეპუტატების კანდიდატთა შეცვლასთან დაკავშირებით, ერთობლივი სიების ფარგლებში.

ი/ იხილავენ განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობასთან დაკავშირებით.

კ/ ახორციელებენ სხვა ძალმოსილებას, რომლებიც თანახმად წინამდებარე კანონისა შედის მათ პრეროგატივაში.

მუხლი 22. საუბნო საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბება

საუბნო საარჩევნო კომისიები ყალიბდება არა უგვიანეს 3 თვისა არჩევნების დაწყებამდე. საუბნო კომისიები ყალიბდება საოლქო კომისიების ხელშეწყობით, მრავალპარტიული წარმომადგენლების ურთიერთშეთანხმებულ საფუძველზე.

კომისიაში შედიან თავმჯდომარე, თავმჯდომარის 2 მოადგილე და კომისიის წევრები.

მუხლი 23. საუბნო საარჩევნო კომისიების ძალმოსილება.

საუბნო საარჩევნო კომისია:

ა/ ადგენს საუბნო ამომრჩეველთა სიებს.

ბ/ მოსახლეობას გადასცემს ინფორმაციას არჩევნების დღისა და კენჭისყრის ჩატარების ადგილის შესახებ.

გ/ ორგანიზაციას უკეთებს საარჩევნო კენჭისყრას

დ/ აჯამებს საუბნო კენჭისყრის შედეგებს.

ე/ ახორციელებს სხვა ძალმოსილებას, რომელიც თანახმად წინამდებარე კანონისა შედის საუბნო კომისიის პრეროგატივაში.

მუხლი 24. საარჩევნო კომისიების მუშაობის ორგანიზაცია.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და მდივნები აირჩევიან შესაბამისი კომისიების სხდომებზე.

საარჩევნო კომისიების სხდომები უფლებამოსილნი არიან თუ მათ ესწრება კომისიის წევრთა შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

გადაწყვეტილება ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღება ღია კენჭისყრით, თუ მას ხმა მისცა კომისიის საერთო შემადგენლობის უმრავლესობამ.

საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებანი და მოქმედებები შეიძლება გასაჩივრებული იყოს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

საარჩევნო კომისიების წევრები დროებით უნდა განთავისუფლდნენ /ნებაყოფლობით/ სამსახურიდან არჩევნების მომზადებისას და ჩატარების ორგანიზაციისათვის, საშუალო ხელფასის შენარჩუნებით, ეს ხარჯები იფარება არჩევნების ხელშეწყობი ფონდიდან.

V. ამომრჩეველთა სიები

მუხლი 25. ამომრჩეველთა სიები.

ამომრჩეველთა სია საარჩევნო ოლქების შესაბამისად დგება ცალკეული საარჩევნო უბნების მიხედვით. საუბნო სიებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ამომრჩეველთა სიები დგება საზოგადოებრიობის წარმომადგენლების და ხმარების საფუძველზე.

მუხლი 26. ამომრჩეველთა სიების შედგენის წესი.

ამომრჩეველთა სიებში შეიტანება ყველა ადამიანი, რომელსაც არჩევნების დღემდე / ან არჩევნების დღეს/შეუსრულდა 16 წელი და რომლის მონაწილეობას არჩევნებში არ კრძალავს წინამდებარე კანონი ან ცენტრალური საარჩევნო კომისია, ამ კანონის საფუძველზე ყოველი ამომრჩეველი რეგისტრირდება ერთადერთი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში.

მუხლი 27. ამომრჩეველთა დამატებითი სია. კენჭისყრის უფლების მოწმობა.

თუ ამომრჩეველი ამომრჩეველთა სიის შედგენის შემდეგ შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნის საფუძველზე გასცემს კენჭისყრის უფლების მოწმობას.

ამ მოწმობის საფუძველზე, ამომრჩეველს ეძლევა უფლება შეტანილი იქნეს ამომრჩეველთა დამატებით სიაში, ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

VI. საქართველოს სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება და რეგისტრაცია.

მუხლი 28. ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პარტიათა და ორგანიზაციათა შორის, რეგისტრაციაში ატარებს იმ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ 100 ათას კაციანი პეტიციები მათ მხარდასაჭერად / პეტიცია დგება ც/კომისიის სახელზე/.

გარდა ამისა, პარტიების/ ორგანიზაციების/მიერ წარდგენილი უნდა იყოს პარტიული/ ორგანიზაციის/ წესდება, პროგრამა და წინასაარჩევნო პლატფორმის თეზისები.

თუ პარტიის ორგანიზაციის იდეოლოგიური სახე არ შეესაბამება კაცობრიობის მიერ შემუშავებულ ჰუმანისტურ ტრადიციებს და ნორმებს, ასეთ პარტიებს/ ორგანიზაციებს/უნდა ეთქვათ უარი არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციაზე.

ასეთ შემთხვევაში ამ პარტიებს და ორგანიზაციებს უფლება აქვთ გაიტანონ კომისიის ეს გადაწყვეტილება საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.

საკუთარი ინფორმაციის საშუალებებით გახადონ მსჯელობის საგნად პარტიული დოკუმენტები და ამის შემდეგ ხელმეორედ შეადგინონ პეტიციები 100,0 ათას კაცის ხელმოწერით/ და მოიპოვონ არჩევნებში მონაწილეობის უფლება/რეგისტრაცია/.

აღნიშნული პროცესი დროულად რომ იქნეს გადაწყვეტილი, პარტიებისა და ორგანიზაციების რეგისტრაცია უნდა დაიწყოს ც/ კომისიის შექმნისთანავე.

დეპუტატობის კანდიდატთა სიების წამოყენება ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში იწყება არჩევნებამდე 3,5 თვით ადრე და თავდება ერთი თვის განმავლობაში.

კანდიდატთა სიების წამოყენება შედის ცალკეული პარტიებისა თუ ორგანიზაციების პრეროგატივაში.

მუხლი 29. წინასაარჩევნო საოლქო კომპანია.

არჩევნების ჩატარებამდე 2,5 თვით ადრე, ცალკეულ პარტიებსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ეძლევათ უფლება ჩაერთონ წინასაარჩევნო საოლქო კამპანიაში.

წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზაცია შედის ცალკეული პარტიებისა და ორგანიზაციების პრეროგატივაში. ამ საქმეში მათ დახმარებას უწევს შესაბამისი საარჩევნო კომისია.

კამპანიის დროს ცალკეული პარტია თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თავის პარტიულ/თუ ორგანიზაციულ/წინასაარჩევნო პლატფორმას აცნობს შესაბამისი ოლქის მოსახლეობას.

კამპანიის ფორმები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, ესენია: მიტინგები, კრებები, სხვა სახის თავყრილობები. ამ მიზნით გამოიყენება აგრეთვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხვადასხვა საინფორმაციო ორგანოები.

მუხლი 30. საქართველოს სათათბიროს დეპუტატობით კანდიდატთა რეგისტრაცია.

კანდიდატთა რეგისტრაციას აწარმოებს საოლქო საარჩევნო კომისია. დეპუტატობის კანდიდატთა სიებს წარადგენს შესაბამისი პარტია ან ორგანიზაცია. რეგისტრაცია თავდება არჩევნებამდე 2,5 თვით ადრე, შესაბამისი ოქმების შედგენით ცალკეულ პარტიების ან ორგანიზაციების მიხედვით. რეგისტრაცია შედგება იმ შემთხვევაში, თუ არის დაცული წინამდებარე საარჩევნო კანონის მოთხოვნები, უარი რეგისტრაციაზე გასაჩივრებული შეიძლება იყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2 დღის ფარგლებში.

დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს რეგისტრირებულ იყოს ერთ საარჩევნო ტერიტორიულ ოლქში წაყენებულ სიაში.

პარტიას ან ორგანიზაციას უფლება აქვს არჩევნებში მოპოვებული მანდატების ფარგლებში, მოახდინოს პერსონალური ცვლილებანი და შეცვალოს ცალკეული პიროვნებანი. ენ მდგომარეობა გამართლებულია იმით, რომ არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს პარტია ან ორგანიზაცია და არა ცალკეული დეპუტატები. დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება შედიოდეს საარჩევნო კომისიებში.

თუ რომელიმე საარჩევნო კომისიის წევრი წაყენებული იქნება დეპუტატობის კანდიდატად, იგი ავტომატურად თავისუფლდება შესაბამისი კომისიის შემადგენლობიდან და მის ნაცვლად კომისიაში შეიყვანება ახალი პირი.

მუხლი 31. საქართველოს სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად წაყენების გადაწყვეტილების მოხსნა. თავისი კანდიდატურის მოხსნა კანდიდატის მიერ.

პარტიას ან ორგანიზაციას უფლება აქვს არჩევნების ჩატარებამდე გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება ცალკეულ დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების შესახებ და შესცვალოს ისინი სხვა კანდიდატებით.

ცალკეულ კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა, მაგრამ იგი ვალდებულია წინასწარ შეუთანხმოს ეს ქმედება იმ ორგანიზაციას, რომელმაც წამოაყენა იგი კანდიდატად.

მუხლი 32. საარჩევნო ბიულეტენები.

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქართულ ენაზე. ბიულეტენების ფორმასა და ზომებს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

VII. საქართველოს სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატთა მოღვაწეობის გარანტიები.

მუხლი 33. სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატთა უფლებები.

სათათბიროს კანდიდატთა საარჩევნო კომისიებში რეგისტრაციის შემდეგ, კანდიდატებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში და ამ მიზნით გამოიყენონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციის საშუალებანი.

საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან მიაწოდონ მათ ყველა საჭირო ინფორმაცია წინასაარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად.

მუხლი 34. პარტიების და ორგანიზაციების ნდობით აღჭურვილი პირების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიაში.

წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილე პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება აქვთ გამოიყენონ რამოდენიმე ნდობით აღჭურვილი პირი, რომლებიც გაუწევენ დახმარებას საარჩევნო ინტერესების დაცვის საქმეში.

ნდობით აღჭურვილი პირები რეგისტრირდებიან შესაბამის საარჩევნო კომისიებში. მათ ეძლევათ შესაბამისი მოწმობა. ნდობით აღჭურვილი პირი არ შეიძლება შედიოდეს საარჩევნო კომისიებში.

მუხლი 35. წინასაარჩევნო აგიტაცია.

კანონით გარანტირებულია პარტიების და ორგანიზაციების პოლიტიკური პლატფორმების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა.

ამომრჩევლებთან შეხვედრის დრო და ადგილი წინასწარ ეცნობათ ამომრჩევლებს საარჩევნო კომისიების მიერ.

აკრძალულია აგიტაციის ჩატარება არჩევნების დღეს.

VIII. კენჭისყრის წესი და არჩევნების შედეგების შეჯამება.

მუხლი 36. კენჭისყრის ადგილი და დრო.

არჩევნების დღეს კენჭისყრა წარმოებს 7-დან 22 სთ-მდე. საუბნო საარჩევნო კომისიები, არაუგვიანეს 7 დღისა არჩევნებამდე აცნობებენ ამომრჩევლებს კენჭისყრის ჩატარების ადგილს.

მუხლი 37. კენჭისყრის ორგანიზაცია.

კენჭისყრა წარმოებს სპეციალურად გამოყოფილ შენობაში, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამის მოწყობილობით, საჭირო რაოდენობის კაბინებით ან ოთახებით, ფარული კენჭისყრის ჩატარების პირობების წინასწარი გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობა კენჭისყრის ორგანიზაციისათვის თანახმად წინამდებარე კანონის მოთხოვნილებებისა მთლიანად ეკისრება საარჩევნო კომისიებს.

ყველა ცალკეული ამომრჩეველი პირადად მონაწილეობს კენჭისყრაში. სხვის მაგივრად კენჭისყრაში მონაწილეობა აკრძალულია. ბიულეტენები არჩევნებში მონაწილეობისათვის გაიცემა ამომრჩეველთა სიების/მათ შორის დამატებითი სიების/მიხედვით.

იმ შემთხვევებში, როდესაც ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ გამოცხადდნენ არჩევნების ჩატარების ადგილზე, მათი თხოვნის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია აგზავნის თავის წევრებს ასეთი ამომრჩევლების ადგილსამყოფელზე, კენჭისყრის ჩატარების მიზნით.

მუხლი 38. კენჭისყრის ჩატარება.

საარჩევნო ბიულეტენებში წარმოდგენილი არიან ის პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მოცემულ საარჩევნო ოლქებში. კენჭისყრის დროს, ამომრჩეველი ბიულეტენში გადახაზავს იმ ასარჩევ სუბიექტებს, რომლებიც მისი აზრით ვერ გამოხატავენ მის ინტერესებს და ტოვებს იმ პარტიას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელი შეესაბამება ამომრჩევლის პერსონალურ მოთხოვნილებებს.

მუხლი 39. კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

იმის შემდეგ, რაც საარჩევნო უბნის თავმჯდომარე დახურულად გამოაცხადებს კენჭისყრას, საარჩევნო კომისია გახსნის საარჩევნო ყუთებს და შეუდგება კენჭისყრის შედეგების შეჯამებას. კენჭისყრის დამთავრებამდე აკრძალულ საარჩევნო ყუთების გახსნა. საარჩევსო ყუთების გახსნამდე დაითვლება ყველა გამოუყენებელი ბიულეტენი და საარჩევნო კომისიის მიერ შესაბამისი აღნიშვნით, ისინი გაუქმდებიან.

კომისიის მიერ დგინდება გაცემული და გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა.

კენჭისყრის შედეგები განიხილება საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეიტანება შესაბამის ოქმში. ოქმებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები, მდივნები და კომისიის წევრები.

საარჩევნო უბნებში დამტკიცებული ოქმები გადაიგზავნება საარჩევნო ოლქებში, რომლებშიც ჯამდება საოლქო არჩევნების შედეგები. არჩევნების ჩატარების ბოლო ეტაპზე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გამოყავს არჩევნების საბოლოო რესპუბლიკური შედეგები.

არჩევნების ჩატარების შედეგები მის ცალკეულ ეტაპებზე/საარჩევნო უბნებში, ოლქებში, რესპუბლიკაში მთლიანად/ ქვეყნდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინფორმაციო ბიულეტენში. საოლქო საარჩევნო კომისიებს მინიჭებული აქვთ უფლება წარუდგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ის, რომ ბათილად სცნონ საოლქო არჩევნების შედეგები, თუ არჩევნები ჩატარებულია წინამდებარე კანონის დარღვევით ან კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას დაშვებულია შეცდომები. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია საოლქო არჩევნების განმეორებითი ჩატარება.

თუ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სიებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლებმა რაოდენობამ, არჩევნები ჩაითვლება, როგორც ჩაუტარებელი.

მუხლი 40. საქართველოს სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების შედეგების გამოქვეყნება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია არაუგვიანეს 14 დღისა არჩევნების დამთავრების შემდეგ, აქვეყნებს არჩეული დეპუტატების სიას ცალკეული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით.

მუხლი 41. საქართველოს სათათბიროს დეპუტატის მოწმობა.

საოლქო საარჩევნო კომისია, კანონიერად არჩეულ დეპუტატებზე გასცემს დროებით დეპუტატობის მოწმობებს.

იმის მერე, როდესაც დეპუტატის ძალმოსილება დადასტურებული იქნება საქართველოს სათათბიროს მიერ, დეპუტატებს მიეცემათ დეპუტატის მუდმივი მოწმობა.

---

მოვიდა ცნობა, რომ ქ. ბათუმში დაწყებულია მძიმე საპროტესტო შიმშილობა. ამ ამბავთან დაკავშირებით ჩვენი ორი წარმომადგენელი გავგზავნეთ ბათუმში. ისინი გვატყობინებენ:

ბათუმში შიმშილობს სამი კაცი: პაატა ბუაძე, 29 წლისა. პროფესიით მუსიკოსი და მხატვარი. /წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი/.

სიხარულიძე ენვერი, 40 წლისა. მსახიობი /თავისუფალი მოაზროვნე/,

ჯიჯეიშვილი ჯონი, 47 წლისა. მწერალი. /თავისუფალი მოაზროვნე/.

მათ აღნიშნეს, რომ აქციას მხარს უჭერს და ეხმარება წმ. ილია მართლის საზოგადოების ბათუმის ფილიალი.

"ჩვენი ნებაყოფლობითი შიმშილობის აქცია: მიძღვნილია სიცოცხლისა და საყოველთა თავისუფლებისადმი. ჩვენი მოთხოვნის არსია-ქართველი ერის სრული ერთობა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და: რომ გაერომ სესიაზე დააყენოს საკითხი: საბჭოეთში მოქცეული კოლონიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და განიხილოს საქართველოს 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი...

ყოველი ადამიანი თანაგრძნობისა და გაფრთხილების ღირსია" - წერს ჯონი ჯიჯეიშვილი. პაატა ბუაძემ მე-15 დღეს მეგობრების თხოვნით მოხსნა შიმშილობა. ჯიჯეიშვილი და სიხარულიძე კი თავგანწირვით აგრძელებენ ამ მძიმე აქციას.

მიმდინარეობს შიმშილობის მე-17 დღე.

---

როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, სეღპ/ღ/-მ 16 ივლისს შეასრულა საბჭოთა პასპორტის მაკეტის სიმბოლური კუტოდაფე და გამოაცხადა იურიდიული ეროვნული დაუმორჩილებლობა. ეს არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე აქცია და პირდაპირ მიმართულია კრემლის ექსპანსიონისტური და იმპერიალისტური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

საბჭოთა მასობრივი დეზინფორმაციის ერთ-ერთი წარმომადგენელის, გაზეთ "თბილისის" 11 აგვისტოს ნომერში, /"აუტოდაფე"/ აშკარად გაყალბებულია ამ აქციის ჭეშმარიტი არსი. იგი წარმოდგენილია როგორც საბჭოთა საპასპორტო რეჟიმის საწინააღმდეგო მიმართული.

როგორც ხედავთ, ერთი შეხედვით "პატრიოტულ" პოზიციაზე მდგარი ქართულენოვანი პრესა კვლავ აგრძელებს ხალხის თავგზააბნევისა და "ტვინის გამორეცხვის" კარგად ცნობილ კრემლის პოლიტიკას.

(გაგრძელება. დასაწყისი მე-2 გვერდზე)

სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის საპირისპიროდ /პირდაპირ თუ არაპირდაპირ/ იქნება მიმართული ყოველი ქმედება, რომელიც, ერთი შეხედვით, დღევანდელ ეთნო-პოლიტიკურ გარემოში ეროვნებათაშორის ურთიერთობაში არსებული პრობლემების ასე თუ ისე გადასაჭრელადაა მოწოდებული.

არსებულ ანტისახალხო და ანტიდემოკრატიულ სახელმწიფოში, ეთნოკონფლიქტების თავიდან ასაცილებლად რჩება ერთადერთი გზა: ეთნიკური კრიზისის დაუყოვნებელი გადაზრდა პოლიტიკურ კრიზისში.

სომხეთის ეროვნული მოძრაობისაგან განსხვავებით, სწორედ ამ გზას დაადგა საქართველო აპრილის დასაწყისში და სწორედ ამ გზამ მიიყვანა იგი უდიდეს პოლიტიკურ გამარჯვებამდე.

# ორიენტირი

ზემოთ მოყვანილი ფორმულა ეთნოკრიზისის პოლიტიკურ კრიზისში გადაზრდისა, საკმაოდ ზოგადია და კონკრეტულ პირობებსა და გარკვეულ დროს იგი მხოლოდ პოლიტიკური ორიენტირი შეიძლება გახდეს ეროვნული მოძრაობისათვის. პოლიტიკაში არაფერია პლაგიატზე, კალკზე და ტაქტიკურ ერთფეროვნებაზე უფრო წამგებიანი. ამიტომ, ეროვნული მოძრაობისათვის, აპრილის მოდელის პირდაპირი გამეორება ივლისში, საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის გარეგნული მსგავსების მიუხედავად, მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სიტუაციის გარეგნული მსგავსება ძირითადად გამოიხატებოდა იმაში, რომ ორივე შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლებამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში დაუპირისპირა მის მიერვე ინსპირირებული ეთნიკური კონფლიქტები აფხაზეთში. განსხვავება აპრილისა და ივლისის პოლიტიკურ პროცესებს შორის ღრმა და ფუნდამენტური ხასიათისაა, რაც ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

I. აპრილში კრემლმა ვერ შეაფასა ქართული პოლიტიკური აზროვნების დონე. იგი დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკურ ბრძოლას გადაჩვეულ ქართველ ხალხს ადვილად გახვევდა პროვოკაციებში და დაუკარგავდა სამართლებრივ-პოლიტიკურ ორიენტირს.

ქართველმა ხალხმა კრიტიკულ მომენტში გამოამჟღავნა პოლიტიკური ორიენტაციის უბადლო უნარი და თვითგამორკვეული ერის ღირსებები, რაც მოულოდნელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ამას მოუმზადებელი შეხვდა.

2. მშვიდობიანმა, სამართლებრივ-პოლიტიკური მეთოდებით განუხრელად ბრძოლამ ქართველ ხალხს აპრილში მოუტანა საერთაშორისო მხარდაჭერა, რაც გამოიხატა აშშ-ს სენატის № 110 რეზოლუციაში და რის გამოც საბჭოთა ხელისუფლებამ სასწრაფოდ მოხსნა კომენდანტის საათი თბილისში.

3. ივლისის "აფხაზურ" პროვოკაციას საბჭოთა ხელისუფლება ამზადებდა მთელი სამი თვის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო შეემზადებინა და მიემხრო საერთაშორისო აზრი, მიემართა იგი ქართველების საწინააღმდეგოდ. სიმართლის აღდგენას და უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლას საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხრიდან ჭირდებოდა გარკვეული ქმედება გარკვეულ დროის პერიოდში.

4. აპრილის შემდეგ კრემლმა შეძლო მისთვის მანამდე უმართავი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესუსტება და გარკვეულწილად ბლოკირება. უამრავი პროვოკაციით მოახდინა პოლიტიკური ორგანიზაციების განცალკევება; განმათავისუფლებელი მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციების იზოლირება დანარჩენი ორგანიზაციებისაგან, რამაც, საბოლოო ჯამში გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ნების დაქუცმაცება. საერთაშორისო სამართლის უუნარობის რეკლამირებით და იარაღის მიზანდასახული გავრცელებით ხალხში შექმნა სამართლებრივ-პოლიტიკური ბრძოლის უიმედობისა და უნდობლობის ილუზია.

5. აპრილის აქციებში, 4 აპრილის შემდეგ, აღარსად ფიგურირებდა ე.წ. აფხაზური მოთხოვნები. აქციას ჰქონდა წმინდა წყლის სამართლებრივი, განმათავისუფლებელი ხასიათი, რის გამოც ფაქტიურად გაკოტრდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. ივლისში გამოცხადებულ გაფიცვებს კი საფუძვლად ედო "აფხაზური" მოთხოვნები /აფხაზეთის ე.წ. ავტონომიის გაუქმება, აფხაზი სეპარატისტების დასჯა და სხვა/.

მართალია, თვით გაფიცვა მიმდინარეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, მაგრამ, საერთო ჯამში, მას უფრო ქართველებისათვის მიუღებელი, შოვინისტური ხასიათი დაჰკრავდა, ვიდრე განმათავისუფლებელი / სწორედ ამიტომაც, გაფიცვებში არ ჩაერთო საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

6. ივლისის პროვოკაცია უფრო მასიური და რაც მთავარია, სისხლიანი იყო. ამავე დროს, პროვოცირებული იყო როგორც აფხაზები, ასევე ქართველებიც. ამან გამოიწვია მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვა და საკმარისი იყო მცირედი გამწვავება, რომ დაიწყებოდა უმართავი პროცესები, რასაც შეიძლება მეტად არასახარბიელო შედეგები მოჰყოლოდა საქართველოსათვის.

ეს არგუმენტები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ: ივლისში, არსებული საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, პრინციპულად შეუძლებელი იყო აპრილის მოდელის გამეორება და ეთნოკრიზისის პოლიტიკურ კრიზისში გადაზრდა.

ქართველი ერი აუცილებლად მოიპოვებს დამოუკიდებლობას. თავისუფლება მოვა მაშინვე, როგორც კი შესრულდება გარკვეული გამიზნული ქმედება. ამისათვის კი მთელი "ეროვნული გონის" კონცენტრაცია და ერთი მიმართულებით წარმართვაა საჭირო. ეს შეიძლება მოხდეს ხვალ, შეიძლება მოხდეს ოცი წლის შემდეგ... თუ ჩვენ ჩავერევით ეთნიკურ კონფლიქტებში და შევეცდებით ნაციონალური პრობლემების ოხლოკრატიული მეთოდებით გადაჭრას /სხვანაირად ეს, დღეს - არსებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ გარემოში, ვერ მოხერხდება/, ნანატრი თავისუფლება უსასრულოდ დაიგვიანებს, მსხვერპლი კი გაცილებით მეტი იქნება. პროვოკაციების მიზანიც სწორედ ეს არის.

მტერი ცბიერია და დაუნდობელი. არავინ იცის, ამ წუთში რა ვერაგობა იხლართება ჩვენს ზურგს უკან. მხოლოდ პროფესიული პოლიტიკური მიდგომა, ემოციებისაგან დაცლილი განსჯა და მოქმედება მიგვიყვანს მიზნამდე!

ვახტანგ ტალახაძე სედპ/დ/

# სენატორ პელმსის სიტყვა

გთავაზობთ სენატორ პელმსის მიერ 1989 წლის 19 აპრილს აშშ სენატის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც გახდა საფუძველი ოქვენთვის კარგად ცნობილი № 110 რეზოლუციის მიღებისა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის შესახებ.

სენატორის სიტყვა და რეზოლუცია გამოქვეყნდა "კონგ აშენალ რეკორდ-სენატ"-ში /აშშ/.

ბატონო პრეზიდენტო!

დღეს მე შემოვიტანე რეზოლუცია, რომელშიც გამოხატულია აშშ-ის მხარდაჭერა საბჭოების მიერ დაპყრობილი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ბატონო პრეზიდენტო, ქართველ ხალხს აქვს ათასწლოვანი ისტორიული ფესვები, რომელიც სათავეს იღებს ქრისტეს დაბადებამდე. საქართველოს ტერიტორია დამოუკიდებელი იყო მანამდე, სანამ მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიამ არ მოახდინა მისი ინკორპორაცია. საქართველომ შესძლო თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წელს და ჩამოაყალიბა ისეთი მთავრობა, რომლის მიზანიც იყო დემოკრატიული საქართველოს შექმნა და რომელიც იმართებოდა ქართველების მიერ დამოუკიდებლად. დამოუკიდებელი საქართველო ცნობილ იქნა 22 სახელმწიფოს მიერ, მათ შორის საბჭოთა რუსეთისგანაც. საბჭოებმა, როგორც მათ სჩვევიათ ხოლმე, დაარღვიეს თავისი ვალდებულება - 1921 წელს დაიპყრეს საქართველო და ძალით შეიყვანეს იგი საბჭოთა იმპერიის ფარგლებში. თუმცა, საქართველოს მოწინავე შვილებმა დახმარებისათვის და საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისათვის მიმართეს თავისუფალ სამყაროს, არავინ არ მოვიდა მათ დასახმარებლად.

ბატონო პრეზიდენტო, 1924 წელს ჭიათურის მაღაროელებმა დაიწყეს ამბოხება, რომელიც მოედო მთელ საქართველოს. თუმცა ამბოხებულებს დახმარებას უწევდნენ საფრანგეთი და პოლონეთი, საბჭოთა ჯარებმა ძალით ჩაახშეს იგი. ამ აჯანყების ლიდერთა სამეულში შედიოდნენ პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, პოლკოვნიკი თავადი ელიზბარ ვაჩნაძე და ალექსანდრე სულხანიშვილი. მათი სახელები შეტანილია საქართველოს გმირ შვილთა სიაში.

სიტუაცია საქართველოში იგივეა დღესაც - ქართველი ხალხი თხოულობს თვითგამორკვევის ეროვნული უფლების განხორციელებას, დამპყრობი საბჭოთა რეჟიმი კი უარს ეუბნება მოსმენაზედაც.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ეხლა გვაქვს შესაძლებლობა ამ რეზოლუციის მიღებით გამოვხატოთ ჩვენი მხარდაჭერა ქართველი ხალხისადმი, რომელიც იღწვის თავისი თვითგამორკვევისათვის. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ქართველი ხალხის ძალისხმევას ხელახლა მოიპოვოს ეროვნული დამოუკიდებლობა. ეს რეზოლუცია მხარს უჭერს ქართველი ხალხის მოთხოვნას თვითგამორკვევისა და თითოეული ქართველი ადამიანის უფლებების დაცვისათვის, რაც გარანტირებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და მოუწოდებს საბჭოთა კავშირს მოუსმინოს ქართველი ხალხის ხმას, შექმნას გარანტიები ამ უფლებათა განხორციელებისა და დაცვისათვის.

ბატონო პრეზიდენტო, ქართველმა ხალხმა ხმა აიმაღლა ისათვის, რომ ეს მოთხოვნები ცნობილი ყოფილიყო მსოფლიოსათვის. ბოლო სამ კვირაში ამ მომძლავრებულმა ხმამ პანიკაში ჩააგდო ადგილობრივი კომუნისტური პარტიის, მოსკოვის მიერ დანიშნული ოფიციალური პირები. 1989 წლის 8 აპრილს, თბილისის ერთერთ ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბა ათი ათასი კაცი, /როგორც ამას მოწმეები და პრესის ზოგიერთი წარმომადგენლები აღწერენ/ უკიდურესად მშვიდობიან დემონსტრაციაზე. საქმე დამთავრდა იმით, რომ ადგილობრივი კომუნისტური პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გამოიძახეს საბჭოთა სპეციალური დანიშნულების ჯარები. ამ ჯარებმა, თანახმად მოწმეებისა, რომელიც მიიღო საერთაშორისო წინააღმდეგობის ამერიკულმა ფონდმა, მოკლეს 100 კაცზე მეტი. მოსკოვის რადიო ამტკიცებს, რომ მოკლულია 20 კაცი. ამ რიცხვში შედის სულ მცირე ექვსი ქართველი პოლიციელი, რომლებიც დაიღუპნენ მაშინ, როდესაც იცავდნენ უიარაღო დემონსტრანტებს საბჭოთა ჯარების შემოტევისაგან.

ბატონო პრეზიდენტო, დღევანდელ პირობებში, როდესაც აკრძალულია გაზების გამოყენება, მით უფრო დამამწუხრებელი ფაქტია ის, რომ როგორც აღნიშნულია 18 აპრილის "ვაშინგტონ ტაიმსში"-"საბჭოთა ჯარებმა შეუტიეს მშვიდობიან ხალხის ჯგუფს ორლესური ბარებითა და მომწამლავი გაზებით, ფეხქვეშ გაიგდეს ქალები და ბავშვები და სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ისინი!" მაშინ, როდესაც უცხოელ კორესპონდენტებს აკრძალული ჰქონდათ რესპუბლიკაში ჩასვლა, ადგილობრივმა მკვიდრმა ნაირა გიპაშვილმა დაადასტურა, რომ საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრმა ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მო წამლულია დიდი რაოდენობით ხალხი. ადგილობრივი ხელისუფლების პანიკაში ყოფნის ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ საბჭოთა ჯარებმა მოსახლეობას 36 საათში ჩამოართვეს 66000 ცალი რეგისტრირებული თოფ-იარაღი.

საბჭოთა ჯარებმა საჭიროდ ჩათვალეს თავისი ძალის ჩვენება საქართველოდან ათასი მილით დაშორებულ ბალტიის რესპუბლიკებშიც - ლიტვასა და ესტონეთში. თანახმად "ასოშეიტედ-პრესის" 14 აპრილის ცნობისა, ათიდან ოც ტანკამდე შეიძლებოდა გენახათ აპრილის 10-ში, ორშაბათ დილასო, რომლებმაც მთელი სიჩქარით ჩაიქროლეს ქ. რიგის ქუჩებში. იმავე დილით რამდენიმე ტანკი შემჩნეულ იქნა ესტონეთის საუნივერსიტეტო ქ. ტარტუში. ესტონეთისს დედაქალაქის, ტალინის სამრეწველო უბნებში აქაიქ დაინახავდით საჯარისო ნაწილებს. ადგილობრივი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა გამოხატა გაკვირვება ამ ნაუცბათევ სამხედრო მანევრებთან დაკავშირებით და გამოთქვა აზრი, რომ თბილისის ტრაგედიის ერთი დღის შემდეგ ასეთი აქციების დემონსტრირება იყო "არაჯანსაღი" მოვლენა.

ბატონო პრეზიდენტო, ასეთი შეფასება ძალზედ ლოიალურია. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მიერ "გამოხატული" დამოკიდებულება ქართველი ხალხის სურვილების თავისუფალი გამოხატვის მიმართ, უბრალოდ რომ ითქვას რეპრესიული და ანტიკონსტიტუციურია, თვით საბჭოთა სამართლებრივი ნორმებითაც კი!

ვთვლი, რომ მიუღებელია აგრეთვე მსოფლიოს საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის ჩატარებაც დაგეგმილია მოსკოვში 1991 წლისათვის, მაშინ როდესაც საბჭოები იყენებენ მომწამლავ გაზებს, რათა კიდევ უფრო დააჩოქონ სსრკ-ს დამონებული და ამ მონობის წინააღმდეგ ხმაამაღლებული მოსახლეობა.

ბატონო პრეზიდენტო, ქართველებს სურთ იცოდნენ, რომ მათი ბრძოლა აღიარებული და მხარდაჭერილი იქნება თავისუფალი სამყაროს მხრიდან და რომ ასზე მეტი უდანაშაულო ადამიანის ტრაგიკული სიკვდილი არ ჩაივლის შეუმჩნევლად.

ბატონო პრეზიდენტო, აქედან გამომდინარე მე მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს შემომიერთდნენ ამ რეზოლუციის მხარდასაჭერად რათა ქართველმა ხალხმა იცოდეს, რომ მათი ძალისხმევა თვითგამორკვევისათვის, რომელიც ასე ძვირად დაუჯდათ, ჰპოვებს მხარდაჭერას ამ უზენაესი ორგანოს მიერ. /იგულისხმება აშშ სენატი/.

1989 წლის 19 აპრილი.

# ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი

ქაიხოსრო / ქაქუცა / ჩოლოყაშვილი ეკუთვნოდა საქართველოს ისტორიაში დიდად ცნობილ ჩოლოყაშვილთა გვარს, რომელმაც მრავალი ღვაწლი დასდო სამშობლოს. დაიბადა მამა-პაპეულ სოფელ მატანში 1888 წლის 14 ივლისს. იგი იყო შვილი იოსებ და დარია ჩოლოყაშვილებისა. სწავლა მიიღო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 21 წლისა რუსულ ჯარში იქნა გაწვეული სამხედრო ბეგარის მოსახდელად. მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, საიდანაც ოფიცრის ხარისხით დაბრუნდა.

1913 წელს შეირთო ილია მელვინეთუხუცესიშვილის ერთადერთი ასული ნინო და დაბინავდა მამულში.

1914 წელს დიდი ომის ატეხვის დროს, როგორც ოფიცერი, ისევ ჯარში იქნა გაწვეული და მთელი ომი ბრძოლის ველზე გაატარა. ამავე წელს დაიჭრა ავსტრიის ფრონტზე და გადაყვანილი იქნა კავკასიის ფრონტზე. როგორც დაჭრილი, ის უფროსობდა ზურგის ჯარის ასეულს. ამ დროს დაიწყო ოსმალეთის ჯარების იერიში სარიყამირზე. რუსის ჯარი ცოტა იყო. ოსმალები აშკარად ჭარბობდნენ. მათ ზურგიდან შემოუარეს რუსებს. ჩოლოყაშვილმა მიიღო ბრძანება, რომ მუშა ჯარისკაცებისათვის თოფები დაერიგებინა და ფრიად სტრატეგიული მნიშვნელობის არწივის ბუდის მთა ოსმალებისაგან უკან დაებრუნებინა. ჩოლოყაშვილმა ეს ბრძანება ბრწყინვალედ შეასრულა და არწივის ბუდე დაიბრუნა. ოსმალებმა ისევ განაახლეს არწივის ბუდის იერიშები. ჩოლოყაშვილი ფეხში დაიჭრა. უფროსობამ წინადადება მისცა ლაზარეთში წასულიყო, მაგრამ ქაქუცა თავის პოზიციებზე რჩება და ისევ იღებს ჭრილობას მკერდში.

მძიმედ დაჭრილი ჩოლოყაშვილი მკურნალობს წმინდა ნინოს ქართულ საავადმყოფოში. ამ დროს აარსებენ ქართულ ცხენოსანთა რაზმს, სადაც ჩოლოყაშვილი ერთი პირველთაგანი შედის. ამის შემდეგ იგი სპარსეთის ფრონტზე იბრძოდა. აქ მან შეასრულა შესანიშნავი რეიდი. თავისი ასეულით გაიარა მესოპოტამიის უდაბნო და ინგლისელებს შეუერთდა.

დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. ის უკვე ქართულ ჯარებში მსახურობს და როგორც ერთი შესანიშნავი ოფიცერთაგანი მონაწილეა ყველა იმ ომებისა და სამხედრო საქმეებისა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდა.

1921 წელს ეროვნული კატასტროფის დროს, როდესაც რუსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველო დაიკავა, ის საქართველოში რჩება. ქაქუცას თავში იბუდებს საქართველოს განთავისუფლებისა და მტერთან იარაღით შებმის აზრი. ამის მზადებას, პირველი მებრძოლი ჯგუფის შედგენას და იმ პირობებში ამ მეტად ძნელი საქმის მოწყობას მთელ წელს ანდომებს. ამ დროს საქართველოში ძლიერი ტერორი მძვინვარებს. იჭერენ ყველას და განსაკუთრებით სამხედრო პირებს. ჩოლოყაშვილი პირველთაგანი წერია დასაჭერ პირთა სიაში. დაგვიანება აღარ იქნებოდა და 1922 წლის მარტის თორმეტს საქართველოს შეფიცულებით ტყეში გადის. ეს ბოლშევიკურ რუსეთთან ომის გამოცხადებას ნიშნავდა. იმავე წლის ივნისში ქალაქ სიღნაღთან პირველი შეტაკება მოუხდა ბოლშევიკებთან. დაიწყო გმირული ეროვნული ბრძოლა, რომლის დროშა ჩოლოყაშვილი იყო. ამ დღიდან ქართველი ერის გულისყური, მისი მამულიშვილური ზრახვა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, მის გმირულ რაზმთან და იმის სხვა რაზმების მოქმედებასთან იყო გადაბმული. ვისაც მამულისათვის გული უცემდა და ბრძოლისათვის მკლავი უჭრიდა, ქაქუცასაკენ იწევდა, მაგრამ პარტიზანული ბრძოლის სისტემა არც დიდი რაზმის ყოლის და ყველა რაზმების გაერთიანების ნებას არ იძლეოდა. ბრძოლისათვის მნიშვნელობა ჰქონდა არამარტო მებრძოლ რაზმში ყოფნას, არამედ კარგად მოწყობილ კავშირს, სურსათისა და იარაღის მიწოდებას, საიმედო ბინების ქონას, პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობას და საზოგადოდ ხალხის დახმარებას. ამ საქმეს ხალხის სიმრავლე სჭირდებოდა. მებრძოლთა უმრავლესობამ ფუნქციები დაინაწილა. შეიქმნა და გაიზარდა ჭეშმარიტად დიდი კავშირი ბრძოლისა, რომლის სიმტკიცე თვით ხალხის წიაღში იდო. ეს ორგანიზაცია რომ მართლა ხალხური იყო, ხევსურეთის აჯანყების დროს გამოჩნდა.

რუსის წითელმა ჯარებმა ხევსურეთი გატეხეს, მაგრამ ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი ვერ მოსპეს. შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ჩოლოყაშვილს დროებით უნდა შეენელებინა თავისი მოქმედება. იგი ჩეჩნეთში გადავიდა, რათა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან კავშირი გაება. იმავე წლის ღვინობის თვეში საქართველოში დაბრუნდა და ბოლშევიკებმაც განაახლეს მისი დევნა. ერთი შეტაკების დროს მოკლეს მისი ძმა სიმონი, რომელიც გასვლისთანავე მის რაზმში იმყოფებოდა. ქაქუცამ ძმა ტყეში დამარხა და ბრძოლა განაგრძო. კიდევ სხვა შეტაკების გამო, რომლის დროს ბოლშევიკების მდევარი სასტიკად დამარცხდა, დაატუსაღეს მისი მეუღლე და ორი პატარა ასული. გაშმაგებული ბოლშევიკები მისი უფროსი ასულის ცოცხლად დამარხვას მოითხოვდნენ. ეს აღარ მოხდა, მაგრამ სამაგიეროდ დაატუსაღეს ჩოლოყაშვილის დედა, სიდედრი და სიმამრი. ეს უკანასკნელი 1924 წლის აჯანყების დროს დახვრიტეს.

1923 წლის ქრისტეშობის თვეს, ჩოლოყაშვილი ორი შეფიცულით თბილისში გაჩნდა. ეს იყო თამამი საქციელი. იგი თბილისში დამოუკიდებლობის კომიტეტთან პირისპირ მოსალაპარაკებლად და აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად ჩავიდა. რა იცოდა ბოლშევიკურმა ჩეკამ, რომ ის, ვისაც კიდით კიდემდე ეძებდა, ერთი კვირა თბილისში ცხოვრობდა, ახალი გეგმით, ახალი ენერგიით თბილისიდან მშვიდობით გავიდა.

დადგა 1924 წელიც. ჩოლოყაშვილი მანგლისის მიდამოებში დაბანაკდა. მას თბილისთან მუდმივი კავშირი ჰქონდა. 24 აგვისტოს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე თბილისიდან ჩოლოყაშვილის ბანაკში გადავიდნენ. 28 აგვისტოს გედენის მთაზე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე ანდრონიკაშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა. ამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში. ეს აჯანყება დამარცხდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დასტოვეს. აღარ არის დღეს ჩოლოყაშვილი. იგი ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევიდა, როგორც ბრწყინვალე ეროვნული გმირი.

"მხედარი". პარიზი.

# სუკ-ს ბომბები ურჩევნია

ა/წ 25 თებერვლიდან 9 აპრილამდე ჩვენ ვაწარმოებდით ხელმოწერების კამპანიას ქართველ პატრიოტთა პეტიციაზე, რომელშიც ნათლად იყო გამოხატული ქართველი ერის მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.

კომენდანტის საათის პირობებში ვახტანგ ტალახაძემ და მისმა თანმხლებმა, გელა აბაშიძემ 35 ათასი ხელმოწერა გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში. მას შემდეგ გავიდა ოთხ თვეზე მეტი, მაგრამ როგორც ჩანს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს დღემდე ვერ მოუნელებია ეს ფაქტი.

გელა აბაშიძეს სუკ-ში სიტყვიერად წაუყენეს აბსურდული ბრალდება, თითქოს მას მაშინ მოსკოვის მეტროში ჩაეტანოს ბომბი. ასეთი ბრალდების ერთადერთ დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება ყოფილიყო თვითაღიარება და როგორც ჩანს, გელა აბაშიძეზე და მის ოჯახზე სუკ-მა აწარმოა ძლიერი დაწოლა. როგორც აბაშიძე ამბობს, მას აძალებდნენ თავის თავზე აეღო ტერორისტული აქტი და დაესახელებინა "თანამონაწილენი" ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან. ნარკომანიის ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს გელა აბაშიძის უმცროსი ძმა.

როგორც გელა აბაშიძე ამბობს, სუკ-ში ერთ-ერთი დაკითხვის დროს ის მარტო დასტოვეს გამომძიებლის ოთახში და იქ შეუშვეს მძაფრი სუნის მქონე მომწამვლავი აირი. გელა თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა გამომძიებლის ოთახიდან, თავით დაეჯახა მცველს და ყვირილით გამოიჭრა ქუჩაში. მომწამვლავმა გაზმა მაშინ იმოქმედა, როცა აბაშიძე ფეხშველა გამორბოდა რუსთაველის გამზირზე ...

გელა აბაშიძე ამჟამად იმყოფება მძიმე მდგომარეობაში და მოთავსებულია რესპუბლიკური საავადმყოფოს 922 პალატაში.

ამავე დროს, მიმდინარეობს ვ. ტალახაძის ნათესავების ბოროტი შანტაჟირება.

პეტიციები, რომლითაც ქართველი ერი მოითხოვს ეროვნულ დამოუკიდებლობას, მძიმე დარტყმას აყენებს კრემლის ბატონობას საქართველოში. კრემლს, რა თქმა უნდა, ბომბები ურჩევნია.

ამჟამად სედპ/დ/ აგროვებს ხელმოწერებს "ქართველი ერის მიმართვაზე" დიდი ბრიტანეთის საელჩოს ივლისში გადავეცით 50 ათასი ხელმოწერა. ხელმოწერები გრძელდება.



საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის

/ დემოკრატებისა /

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ /დემოკრატებისა/ ა/წ 13 ივნისიდან საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაიწყო უვადო ჯაჭვური შიმშილობა. აქცია მიმდინარეობს სამაიას ბაღში, რესპუბლიკის მოედნის მახლობლად. შიმშილობა უკვე სამოცდასამი დღეა რაც გრძელდება.

ა/წ 16 ივლისს პარტიამ მოაწყო საბჭოთა პასპორტის სიმბოლური აუტოდაფე. სსრ კავშირის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა პარტიის ყველა მუდმივმა წევრმა და გამოცხადდა იურიდიული ეროვნული დაუმორჩილებლობა, რომელსაც თანდათან უერთდებიან საქართველოს პატრიოტები.

სამაიას ბაღში ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში, მიმდინარეობს ხელმოწერების კამპანია ქართველი ერის მიმართვაზე.

ა/წ 17 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ ყოველ ხუთშაბათს საღამოს 7 საათზე სამაიას ბაღში აწყობს ბრიფინგებს, რომელსაც შეიძლება დაესწროს ყველა დაინტერესებული პირი.

15 აგვისტო 1989 წ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/



სედპ /დ/ პირველადი ორგანიზაციები აგროვებენ ხელმოწერებს.

გაზეთი მოამზადეს: ვაჟა მთავრიშვილმა, ვახტანგ ტალახაძემ, თენგიზ შარმანაშვილმა, თეიმურაზ მნათელმა, მაყვალა ჩახვაშვილმა, გიორგი ზუმბაძემ და მურად ჩხიტაძემ.
დაგვირეკეთ : 39.65.77-მაყვალა ჩახვაშვილი, 12.60.34-ბეჟან ჭუბაბრია.
მოგვწერეთ: თბილისი-86, ვაჟა ფშაველას 3კვ. 3კორპ. ბინა 41. მ. ჩახვაშვილი.